

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანა ჩიტალაძე

შავი ზღვის რეგიონული უსატრთხოება: პროცესი და შედეგი

დიპლომატია და მსოფლიო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ და პოლიტიკურ  
მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

ეკა აკობია

ქ.თბილისი, 2018

## ანოტაცია

ნაშრომში „შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება: პროცესი და შედეგი“ განხილულია შავი ზღვის სივრცეში განვითარებული ის მოვლენები, რაც განაპირობებს ამ სივრცის რეგიონად ჩამოყალიბებას უსაფრთხოების ჭრილში.

აღნიშნული კვლევა ეყრდნობა ბარი ბუზანისა და ოლ ვეივერის მიერ შემუშავებულ და შემდგომში მათი და სხვა ავტორების მონაწილეობით განვითარებულ რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის კონცეფციას.

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე მოვლენების მნიშვნელობა და ასახოს მისი გავლენა შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსად ჩამოყალიბების პროცესში.

თეორიული თვალსაზრისით აღნიშნული ნაშრომი საკუთარ წვლილს შეიტანს რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის თეორიის გაფართოებაში, შავ ზღვის რეგიონზე მისი განვრცობით. ასევე, მიზანდ ისაცავს, რომ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში შავი ზღვის შესახებ დისკურსის შესწავლით თავის წვლილი შეიტანოს რეგიონული უსაფრთხოებისა და ზოგადად, რეგიონული ანალიზის თეორიების განვითარებაში, რაც შედარებით ახალი ტენდენციაა საერთაშორისო ურთიერთობებში.

კვლევა ცდილობს პასუხი გასცეს მთავარ კითხვას თუ როგორ ყალიბდება შავი ზღვა რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსად, რისთვისაც მიმართავს დისკურსისა და სეკურიტიზაციის ტენდენციების ანალიზს.

ნაშრომის პირველ ნაწილში გაანალიზებულია რეგიონული აქტორების(ნატოს, ევროკავშირის, თურქეთის, რუსეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის და საქართველოს) დისკურსში შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელობა და როლი.

მეორე ნაწილში განხილულია რეგიონში საზღვაო უსაფრთხოების სფეროში არსებული ვითარება რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის ჭრილში, რაც წარმოადგენს გვაჩვენებს, რომ აღნიშნული კონცეფცია არა მხოლოდ ვალიდურია შავ ზღვასთან მიმართებაში არამედ გვეხმარება რეგიონში არსებული პოლიტიკის უკეთესად გააზრებისათვის.

## Annotation

The paper “Black Sea Regional Security: Process and Implications” presents the ongoing processes within the Black Sea area which determines the formation of this area as a region from the security perspective.

The research is based on the concept of Regional Security Complex advanced by Barry Buzan and Ole Waever and further elaborated by them and as well as other authors.

The paper aims to analyze the importance of ongoing events in the sphere of Black Sea regional security and reflect its impact on the process of establishing Black Sea Regional Security Complex.

From the theoretical perspective abovementioned paper will contribute to the development of the regional security complex theory by expanding the theory on the Black Sea Region. Paper tries to analyse the discourse on Black sea region in the foreign policy agenda of regional states in order. It will contribute to development of the regional level of analysis as well as regional security theories which are new concept in the field of International Relations.

The main goal of the research is to demonstrate how Black sea is forming as a Regional Security complex. For this purpose paper uses analysis of discourse and securitization tendencies.

First part of the paper highlights the role and importance of Black sea in the discussions of regional actors like NATO, European Union, Turkey, Russia, Bulgaria, Rumania, Ukraine and Georgia.

Second part of the paper is dedicated to demonstrate the situation in the maritime security sector of Black sea region. This part reflects that mentioned concept of regional security complex is not only works in the case of Black sea region but it also helps us for better understanding the situation of the region.

## სარჩევი

### შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება: პროცესი და შედეგი

## სარჩევი

1. შესავალი .....	1
2. კვლევის მიზანი და ჰოპოთეზა .....	2
3. თეორიული ჩარჩო	
4. ტერმინების განმარტება .....	4
5. მეთოდოლოგია	
6. ლიტერატურის მიმოხილვა .....	5
7. შავი ზღვის სივრცის რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსად ჩამოყალიბება	
7.1. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება ნატოსა და ერაგოკავშირის დისკურსში	
7.2. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება საქართველოს, უკრაინის ბულგარეთისა და რუმინეთის დისკურსში	
7.3 შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება სანაპირო სახელმწიფოების ორმხრივი ურთიერთობების დისკურსში	
7.4 შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება რეგიონული ძალების (რუსეთისა და თურქეთის) დისკურსში	
8. საზღვაო უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონულ უსაფრთხოების კომპლექსის პერსპექტივაში	
9. დასკვნა	

## 1. შესავალი

შავ ზღვას ყოველთვის ჰქონდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული და გეოპოლიტიკური დატვირთვა, თუმცა ისტორიის მანძილზე ის უფრო მეტად სხვადასხვა გეოგრაფიული სივრცეების, სახელმწიფოების და ცივილიზაციების გამყოფი იყო, ვიდრე გამაერთიანებელი. ცივი ომის დასრულების შემდეგ, მსოფლიოში განვითარებული რეგიონალიზაციის ტენდენციების, ევროკავშირში მიმდინარე ინტეგრაციისა და თავად შავ ზღვაში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებების გათვალისწინებით, აკადემიურ სფეროებსა და პოლიტიკურ წრეებში დაიწყო საუბარი შავი ზღვის სივრცის რეგიონალ ჩამოყალიბების შესაძლებლობებზე, რისი ერთ-ერთი მაგალითი, არც ისე წარმატებული პროექტი - შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნა იყო.

მსოფლიო უსაფრთხოების დღის წესრიგისათვის შავი ზღვის რეგიონმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, როდესაც ყველასათვის ცალსახა გახდა შავი ზღვის აუზში შესაძლო ძალთა ბალანსის ცვლილება. რეგიონში რუსეთის მიერ პოზიციის გამყარების და ზოგადად მზარდი მილიტარიზაციის ტენდენცია, ერაყსა და სირიაში არსებული კონფლიქტების გათვალისწინებით, კიდევ უფრო დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს შავი ზღვის აუზს ევროკავშირისა და ნატოსათვის.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ შავი ზღვის სივრცეში ერთმანეთს უპირისპირდება ძლიერი სახელმწიფოებისა და სხვა აქტორების (რუსეთის, თურქეთის, ნატოს, ევროკავშირის) არათავსებადი ინტერესები, ასევე, აღნიშნულ სივრცეში არ არსებობს ერთიანი რეგიონული იდენტობა, ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალი დონე და გარდა ამისა, წევრი სახელმწიფოების განითარების დონის, დემოკრატიის ხარისხისა და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით დიდი განსხვავებებია, შეიძლება ითქვას, რომ შავ ზღვას „რეგიონულობის“ (regionness) განმსაზღვრელი მრავალი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არ აქვს.

იმის გათვალისწინებით, რომ ტრადიციულად შავი ზღვის რეგიონი „რეგიონულობის“ დაბალი ხარისხით ხასიათდება და უკანასკნელი პერიოდში არც რეგიონული ინტეგრაციის გამოკვეთილი ტენდენციები ან ამ სივრცეში, სულ უფროდაუფრო აქტუალური ხდება შავი ზღვის უსაფრთხოების განხილვა როგორც უმაღლესი დონის შეხვედრებზე, ასევე აკადემიურ წრეებში. შესაბამისად, საინტერესო საკვლევ საკითხს წარმოადგენს თუ რატომ და როგორ გახდა აქტუალური შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების საკითხები სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების პოლიტიკურ დღის წესრიგში.

## 2. საკვლევ კითხვა, ჰიპოთეზა და ცვლადები

### საკვლევ კითხვა

ნაშრომის საკვლევ კითხვაა - ხდება თუ არა შავი ზღვის, როგორც რეგიონის უსაფრთხოების საკითხების აქტუალიზაცია? და ყალიბდება თუ არა შავი ზღვა რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსად?



შესაბამისად, ნაშრომი აღგენს ამ საკვლევ კითხვასთან დაკავშირებულ გარემოებებს და აჩვენებს, რომ მართლაც სახეზეა შავი ზღვის უსაფრთხოების რეგიონულ კომპლექსად ჩამოყალიბება.

### **ჰიპოთეზა**

რეგიონული აქტორების უსაფრთხოების დღის წესრიგში შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხების აქტუალიზაციის შედეგად ყალიბდება შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი. აღნიშნული მოვლენა თეორიული თვალსაზრისით აისახება ამ სივრცის რეგიონად განხილვის პერსპექტივებზე უსაფრთხოების ჭრილში.

**დამოკიდებული ცვლადი** - შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსად ჩამოყალიბება

### **დამოუკიდებელი ცვლადები**

დამოუკიდებელი ცვლადი 1: შავი ზღვის რეგიონი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დისკურსის გააქტიურება;

დამოუკიდებელი ცვლადი 2: შავი ზღვის სეკურიტიზაციის ტენდენციები.

## **3. ნაშრომის მიზანი**

**ნაშრომის მიზანია** გაანალიზოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე მოვლენების მნიშვნელობა და ასახოს მისი გავლენა შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსად ჩამოყალიბების პროცესში. თეორიული თვალსაზრისით აღნიშნული ნაშრომი საკუთარ წვლილს შეიტანს რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის თეორიის გაფართოებაში, შავ ზღვასთან დაკავშირებული უსაფრთხოების დისკურსის და შედეგების ერთეული შემთხვევის ახსნის გზით. ასევე, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში შავი ზღვის შესახებ დისკურსის შესწავლით თავის წვლილს შეიტანს რეგიონული

უსაფრთხოებისა და ზოგადად, რეგიონული ანალიზის თეორიების განვითარებაში, რაც შედარებით ახალი ტენდენციაა საერთაშორისო ურთიერთობებში.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ნაშრომი არ ეხება რეგიონალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის საკითხებს, თუმცა საშუალებას მისცემს რეგიონალიზმისა და უსაფრთხოების საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს შავი ზღვის რეგიონზე დაკვირვების საფუძველზე მომავალში კიდევ უფრო განავითარონ რეგიონალიზმის თეორია, იმის გათვალისწინებით, თუ რა წვლილი აქვს რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსს რეგიონის მშენებლობის საქმეში.

გარდა ბარი ბუზანისა და ოლ ვეივერის (1983, 2003წ.) და დევიდ ლეიკისა და პატრიკ მორგანის თეორიის (1997წ.) გაძლიერებისა მისი შავი ზღვის რეგიონზე გავრცობით ნაშრომი შავი ზღვის უსაფრთხოების კომპლექსად მოაზრების საფუძველზე შესაძლებლობას ქმნის ჩამოაყალიბოს ხედვის პერსპექტივა, რომლის საშუალებითაც უკეთესად განალიზდება შავი ზღვის სივრცეში მიმდინარე უსაფრთხოების დინამიკა, ქვეყნებს, რეგიონებს შორის ურთიერთობები, მათი ინტერესები, თანამშრომლობის და დაპირისპირების შესაძლებლობები.

#### 4. თეორიული ჩარჩო

შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსად ჩამოყალიბების პროცესის ასახვად ნაშრომი ეყრდნობა კონსტრუქტივიზმის ხედვას, უფრო კონკრეტულად კი კოპენჰაგენის სკოლას და მის ფარგლებში განვითარებული რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსების თეორიას (McSweeney, 1996)

ერთი მხრივ, ეს ნაშრომი წარმოადგენს სწორედ თეორიის გაძლიერების მცდელობას და მიზნად ისახავს რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის თეორიული ჩარჩოთი ახსნას შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებული დისკურსი და თანამდევი პროცესები. მეორე მხრივ კი, იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი სწორედ კონსტრუქტივიზმის ნიაღშია შექმნილი, საკვლევ კითხვაზე პასუხისას ის ეყრდნობა კონსტრუქტივიზმის მთავარ პრინციპებს და პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგიას.

**კონსტრუქტივიზმი**

კონსტრუქტივისტული ხედვა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის წიაღში 1980-იანი წლების ბოლოსათვის განვითარდა. ტერმინი კონსტრუქტივიზმი პირველად ნიკოლას ონუფმა (1989წ.) გამოიყენა. კონსტრუქტივიზმის ხედვის გარშემო გაერთიანებულია ალექსანდერ ვენდტის სტატიები და წიგნები 1987 წლიდან. სწორედ ვენდტი მიიჩნევა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში კონსტრუქტივისტული ხედვის საფუძვლების ჩამომყალიბებლად. ვენდტის თეორიის თანახმად ანარქიული სისტემა აპრიორში არ განსაზღვრავს თვითდახმარებას და ნებისმიერი სისტემის ხასიათი დამოკიდებულია აქტორებს (ამ შემთხვევაში სახელმწიფოებს) შორის ინტერაქციაზე. კონსტრუქტივიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აქტორების იდენტობასა და ინტერესებზე, რაც ასევე ინტერაქციის პროცესშია ჩამოყალიბებული და არ არის პროცესის ეგზოგენური, მაგალითად სისტემის ანარქიულობა (Wendt, 1992, p.394). ვენდტის თანახმად სახელმწიფოების მთავარი მიზანია გადარჩენა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კონსტრუქტივიზმი, ტრადიციული თეორიებისგან განსხვავებით, საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოთა ქცევას ხსნის, როგორც სოციალური ინტერაქციის პროცესში დასწავლის საფუძველზე მიღებულ ქცევის ფორმებს და სწორედ ამიტომ შესაძლებელია თეორიულად მოვიპოვოთ ყველაზე მყარი/ჩაშენებული და გავრცელებული ინსტიტუტების შეცვლაც კი. მაგალითად, ხისტი უსაფრთხოების სისტემა ჩაანაცვლოს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემამ. კონსტრუქტივიზმის თანახმად სოციალური რეალობა არ წარმოადგენს ობიექტურ და მყარ მოცემულობას. ვენდტი სოციალური სტრუქტურის სამ ელემენტს გამოყოფს: გაზიარებულ ცოდნას, მატერიალურ რესურსებსა და პრაქტიკას. ხოლო, მისი აზრით, ამ ფაქტორებზე დაფუძნებული სტრუქტურა შემდეგ განსაზღვრავს სახელმწიფოების ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებასა და აყალიბებს მათ ურთიერთობებს (Wendt, 1992, 73).

პირველ რიგში, კონსტრუქტივიზმი ნებისმიერ აქტორს უყურებს, როგორც სოციალურ არსებას, რომელსაც უყალიბდება საკუთარი მე-სა და სხვისი აღქმა არა ბუნებრივად მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, არამედ ინტერაქციის შედეგად.

კონსტრუქტივიზმი უპირისპირდება რაციონალისტებს ონტოლოგიურ საკითხებში. სწორედ კონსტრუქტივიზმის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში ერთ-ერთი ყველასათვის კარგად ცნობილი დებატი აგენტისა და სტრუქტურის შესახებ. კონსტრუქტივიზმის თანახმად იდეები და ნორმები ქმნიან აგენტებსა და მათ ინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ კონსტრუქტივისტები ცდილობენ პასუხი გასცენ კითხვაზე - როგორ?, ხოლო სხვა მიმართულებები ფოკუსირებულები არიან კითხვაზე - რატომ? შესაბამისად, კონსტრუქტივიზმი ცდილობს შეიცნოს, გაიაზროს მოვლენა, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების სხვა ტრადიციული სკოლის წარმომადგენლები კი მის ახსნას ცდილობენ. (Ben, 2002).

კოპენჰაგენის სკოლის წარმომადგენლები ხშირად იზიარებენ ფუკოს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც დისკურსი იქმნება რეპრეზენტაციებისა და პრაქტიკის საფუძველზე, რაც აყალიბებს იდენტობას, ისევე როგორც სუბიექტისა და ობიექტის მნიშვნელობებს (Howarth, 2000 , p. 9).

### **უსაფრთხოების საკითხები კონსტრუქტივიზმის პერსპექტივიდან**

კონსტრუქტივიზმის ფარგლებში უსაფრთხოება განისაზღვრება როგორც აქტორებს შორის(ინტერ-სუბიექტურად) გაზიარებული დისკურსი, ასევე ამ მიმართულების ფარგლებში ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ როგორ წარმოიქმნება უსაფრთხოების საკითხი და რა ადგილი უჭირავს მას პოლიტიკურ დღის წესრიგში. სწორედ, კრიტიკული კონსტრუქტივიზმის, უფრო კონკრეტულად კი კოპენჰაგენის სკოლის ფარგლებში, ოლ ვეივერმა და ბარი ბუზანმა ნებისმიერი საკითხის უსაფრთხოების საკითხად ქცევის

პროცესის აღსაწერად შექმნეს ახალი ზმნა სეკურიტიზაცია, რომელიც მომდინარეობს არსებითი სახელიდან უსაფრთხოებიდან (ინგლისურად - Security). სეკურიტიზაცია, რომელიც შემდგომში ერთ-ერთ აქტუალურ და მნიშვნელოვან კონცეფციად იქცა, მჭიდროდ არის დაკავშირებული დისკურს-ანალიზის, როგორც საგარეო პოლიტიკის ანალიზის ერთ-ერთ მეთოდთან. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს მიმდინარე მოვლენების „შეცნობა“ და „გააზრება“ (Ben, 2002). ამ ტრადიციის თანახმად სწორედ დისკურსი აყალიბებს „საფრთხეს“, რაც იწვევს საკითხის სეკურიტიზაციას. შესაბამისად, სეკურიტიზაციის გააზრება შესაძლებელია ინტერ-სუბიექტურ დონეზე, დისკურსის ანალიზის საშუალებით (Huysmans, 1998).

როგორც უკვე აღვნიშნეთ კონსტრუქტივიზმის ფარგლებში მთავარი კითხვაა - როგორ? შესაბამისად, უსაფრთხოების კუთხით საერთაშორისო ურთიერთობებს ტრადიციული თეორიის წარმომადგენლები ცდილობენ ახსნან თუ რატომ იქნა მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება და რატომ განხორციელდა გარკვეული ქმედებები, მაშინ როცა, კრიტიკული კონსტრუქტივიზმი მიისწრაფვის გაიგოს თუ როგორ ყალიბდება საფრთხეები, როგორ ხდება უსაფრთხოების საკითხების აღქმა სოციალური კონსტრუქციის საფუძველზე.

საყურადღებოა, რომ კონსტრუქტივიზმის მიხედვით, ჩვენ მიერ მსოფლიო პოლიტიკის აღქმა, არა მხოლოდ აღწერს მას, არამედ ერთგვარად აყალიბებს და ქმნის. შესაბამისად, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ უსაფრთხოების საკითხის განხილვა განაპირობებს ამ საკითხის რეალურ საფრთხედ ქცევას და განსაზღვრავს მის მნიშვნელობასა და არსს უსაფრთხოების კონტექსტში. სწორედ აღნიშნულ მოვლენას უწოდებენ ხშირად „საუბრის აქტს“, რომელიც განსაზღვრავს და ქმნის სოციალურ რელობას, მათ შორის, უსაფრთხოების საკითხებს (McDonald, 2008).

### **თეორიული ჩარჩო და შავი ზღვის უსაფრთხოება**

როგორც ვნახეთ, სტრუქტურისა და აქტორის ურთიერთობებს განსაზღვრავს ინტერ-სუბიექტური პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული მნიშვნელობები და „ურთიერთგაგება“. მართალია, სტრუქტურა ზღუდავს აქტორებს, თუმცა აქტორები თავად აყალიბებენ ამ სტრუქტურას. (Robert Jackson, Georg Sørensen, 2013 p 207). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ერთი მხრივ, რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი განსაზღვრავს უსაფრთხოების დინამიკას, მეორე მხრივ აღნიშნული სტრუქტურის ჩამოყალიბება სწორედ აქტორების დამსახურებაა, რაც ამ ნაშრომის მთავარი ამოსავალი წერტილია. ამავდროულად სწორედ ამ პროცესის უკეთ წარმოჩენა შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების მაგალითზე მის ერთ-ერთი მთავარ მიზანს წარმოადგენს.

### **რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი**

რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი არის ანალიტიკური კონცეფცია, რომელიც განსაზღვრულია ბარი ბუზანისა და ოლ ვეივერის მიერ, თუმცა ის რეგიონები, რომელსაც მიემართება აღნიშნული კონცეფცია არის სოციალურად კონსტრუირებული რადგან დამოკიდებულია აქტორთა უსაფრთხოების პრაქტიკაზე. (Buzan & Wæver, 2003, p.48)

იმის გათვალისწინებით, თუ რისი სეკურიტიზაციის პროცესი მიმდინარეობს, ან ვის მიერ, რეგიონი შეიძლება ახლიდან წარმოიქმნას ან შეიცვალოს (მათ შორის შეიცვალოს მისი წევრების შემადგენლობა). აღნიშნული თეორია შეისწავლის უსაფრთხოების დისკურსსა და აქტორთა უსაფრთხოების პრაქტიკას და არა რეგიონულ (რეგიონალისტურ) დისკურსსა და პრაქტიკას.

იმისათვის, რომ რომელიმე რეგიონს ვუწოდოთ რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი, სახელმწიფოთა ან სხვა აქტორთა ჯგუფს შორის უნდა არსებობდეს უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულების საკმარისი ხარისხი, რათა ჩამოყალიბდეს ურთიერთდაკავშირებული სისტემა და განსხვავდებოდეს აღნიშნული სისტემა მის გარშემო არსებული უსაფრთხოების რეგიონებისაგან. (Buzan & Wæver, 2003, p.3)

ამასთანავე, მათ შორის უსაფრთხოების საკითგებში კავშირი იმდენად ძლიერია, რომ მათი ეროვნული უსაფრთხოების განხილვა შეუძლებელია ურთიერთდამოუკიდებლად.

მოგვიანებით, ბუზანმა და ვეივერმარეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის უფრო ყოვლისმომცველი ახსნა შემოგვთავაზეს, რომლის თანახმადაც ერთეულები, რომელთა სეკურიტიზაცია ან დესეკურიტიზაცია არის იმდენად ურთიერთდაკავშირებული, რომ უსაფრთხოების პრობლემის სიღრმისეული გაანალიზება ან მისი მოგვარება შეუძლებელია ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად ქმნიან/შეადგენენ რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსს. (Buzan & Wæver, 2003, p.44)

რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის თეორიის საფუძვლები კონსტრუქტივიზმშია. ამ კონცეფციის ამოსავალი წერტილი მეგობრობა-მტრობის სისტემაა, რომლიც განსაზღვრულია აქტორთ მოქმედებებითა და მათ მიერ გაკეთებული ამ მოქმედებების ინტერპრეტაციებზე (აღქმებზე), არა მხოლოდ ძალის გადანაწილებაზე. (Wendt, 1992)

უსაფრთხოების კონტექსტში განსაზღვრული რეგიონები აყალიბებენ სუბსისტემებს სადაც აქტიურად მინდინარეობს უსაფრთხოების სფეროში ინტერაქცია. მაღალი ხარისხის შიდა ინტერაქცია ბუნებრივია, რადგან სახელმწიფოებს ეშინიათ თავიანთი მეგობლების ან მათ მოკვშირების სხვა რეგიონებიდან. აქვე, ბუზანი აღნიშნავს რომ რეგიონებს შორის საზღვრები ხშირად სწორედ გეოგრაფიულად არის განსაზღვრული.

რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის კონცეფციის თანახმად უსაფრთხოების განსაზღვრა ხელმძღვანელობს კონსტრუქტივისტული მიდგომით, რადგან ის არ ცდილობს გაარკვიოს კონკრეტული მოვლენა წარმადგენს თუ არა რეალურ საფრთხეს, არამედ მის მთავარ მიზანს წარმადგენს განსაზღვროს როდის, რა ვითარებაში, ვინ ახდენს რომელი საკითხის სეკურიტიზაციას. საკითხის უსაფრთხოების ჭრილში განხილვა ცვლის ამ საკითხის მნიშვნელობას და შესაბამისად სეკურიტიზაციის პოლიტიკური პროცესი სწორედ მიმდინარე უსაფრთხოების დინამიკისაგან იქმნება. (Buzan & Wæver, 2003, pp.3-6)



მიჩნეულია რომ რეგიონული კომპლექსის მთავარი მახასიათებელი სახელმწიფოების ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება საფუძველს იღებს შედარებით ხანგრძლივი ისტორიიდან, თუმცა შავი ზღვის რეგიონში ისტორიული დინამიკის გამო ასე არ ხდება და აღნიშნული კავშირების ჩამოყალიბებას სწორედ უკანასკნელ წლებში ჰქონდა ადგილი.

საყურადღებია, რომ რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი განისაზღვრება და ყალიბდება ანალიზის 4 დონეზე:

1. სახელმწიფოებრივი (შიდა) დონე - სახელმწიფოს მიერ აღქმული საფრთხეები საშინაო პოლიტიკის დისკურში და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური დინამიკის გათვალისწინებით. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სახელმწიფოების მიერ განსაზღვრული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შიშები, მითი სტაბილურობა და შიდა წესრიგის, სტრუქტურის ხასიათი.
2. სახელმწიფოთაშორისი (რეგიონული) დონე- რეგიონში არსებულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები
3. რეგიონთაშორისი დონე - რეგიონის ურთიერთობა, ურთიერთდამოკიდებულება მეზობელ რეგიონება. აღნიშნული დონე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რეგიონული ძალა გლობალური ძალაა და/ან იმავდროულად სხვა რეგიონულ ძალასაც წარმოადგენს.
4. გლობალური დონე - გლობალური ძალების როლი რეგიონში; რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოების სტრუქტურებს შორის კავშირი, ურთიერთდამოკიდებულება.

(Buzan & Wæver, 2003, p.12)

აღსანიშნავია, რომ რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები:

1. საზღვრები, რომელიც განასხვავებს რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსს თავისი მეზობლებისაგან;
2. ანარქიული სტრუქტურა, რაც გულისხმობს, რომ რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი უნდა შედგებოდეს ორი ან ორზე მეტი დამოუკიდებელი (ავტონომიური) ერთეულისაგან;
3. პოლარულობა, რომელიც მოიცავს ძალთა გადანაწილებას ერთეულებს შორის
4. სოციალური კონსტრუქცია, რაც გულისხმობს და აყალიბებს მეგობრობა-მტრობის სისტემებს.

(Buzan & Wæver, 2003, p.53)

რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის თეორიის განვითარებაში სხვადასხვა ავტორმა შეიტანა წვლილი,მათ შორის აღსანიშნავია პატრიკ ლეიკი და დევიდ მორგანი,რომლებმაც 1997წელს დაწერილ წიგნში 'რეგიონული წესრიგი გარკვეული მოდელირება გაუკეთეს ბუზანისა და ვეივერის მიერ შემოთავაზებულ კონსეფციას.აღსანიშნავია რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავტორებ შორის საკმაოდ მწვავე და ინტენსიური თეორიული დებატები მიმდინარეობდა.

საყურადღებოა ,რომ ეს კვლევა ეყრდნობა არა ექსკლუზიურად ბუზანისა და ვეივერის მიერ განსაზღვრულ რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის თეორიას,არამედ მხედველობაში იღებს ლეიკისა და მორგანის მოსაზრებებსაც (1997).

ბარი ბუზანისა და ოლ ვეივერისათვის რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი მსოფლიო სისტემის აღწერის შესაძლებლობაა და გულისხმობს,რომ დღევანდელი მსოფლიო დაყოფილია სწორედ მსგავს ერთეულებად.ეს ავტორები მიიჩნევენ რომ თითოეული კომპლექსი ექსკლუზიურია და მათ თანახმად როდესაც გლობალური ძალები'ფარავენ'შიდა

რეგიონულ დინამიკას, არ გვაქვს რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი. მათ ნაშრომებში ყურადღება გამახვილებულია რომ ძირითადი სახელმწიფოები რომელიმე კონკრეტულ კომპლექსს მიეკუთვნებიან, თუმცა ლეიკი და მორგანი ამ კონცეფციას რეგიონში არსებული უსაფრთხოების დინამიკის აღწერის საშუალებად სახავენ და მიიჩნევენ, რომ არა არის აუცილებელი თითოეულ კომპლექსს განსხვავებულ წევრთა შემადგენლობა ქონდეს. ისინი ფოკუსირებულები არიან აქტორთა შორის უსაფრთხოების სფეროში ურთიერთობების ინტენსიურობასა და ურთიერთ დამოკიდებულებაზე. (Buzan & Wæver, 2003, pp.80-82)

## 5. ტერმინების განმარტება

ნაშრომში წარმოდგენილი დამოუკიდებელი ცვლადი მოიცავს ცნებებს, რომელიც ბუნდოვანი და საკამათოა. იმისათვის, რომ ნაშრომმა საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინაში და უზრუნველყოს მკითხველამდე სათქმელის სწორი ინტერპრეტაციით მინოდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერმინების განმარტება, მათი კონტექსტის განხილვა და ნაშრომში წარმოდგენილი მნიშვნელობის განსაზღვრა.

### სეკურიტიზაცია

სეკურიტიზაციის კონცეფცია და ტერმინი პირველად ჩამოაყალიბა ოლ ვეივერმა 1995 წელს (Weaver, 1995). ხოლო, მოგვიანებით, 1998 წელს ის განავითარა ბარი ბუზანმა, ოლ ვეივერმა და დე ვილდმა წიგნში; „A New Framework of Analysis“. ემერსის მიხედვით, სეკურიტიზაცია შედგება უსაფრთხოებისა და პოლიტიკური აქტენისაგან. უსაფრთხოების აქტი გულისხმობს უსაფრთხოების ენით საუბარს კონკრეტული საკითხის შესახებ, მისი როგორც საფრთხის დეკლარირებას და ასევე მასთან გამკლავების მიზნით შესაბამისი საგანგებო ზომების მიღებას. ხოლო, პოლიტიკური ქმედება გულისხმობს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ მოხდეს საკითხის საფრთხედ არტიკულირება

„სეკურიტიზაციის“ მთავარ მექანიზმს წარმოადგენს ვერბალური დეკლარირება, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერი საკითხისათვის „საფრთხის“ იარლიყის მიკერებით, ის მართლაც იქცევა უსაფრთხოების საკითხად. (Weaver 2004, 13). თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი საკითხის საფრთხედ ქცევა ან მისი „სეკურიტიზაციის“ მიღება პოლიტიკური არჩევანია. (Buzan, Weaver, De Wilde, 1998, p.29)

შესაბამისად, იკვეთება ტენდენცია, რომ სეკურიტიზაცია დაკავშირებულია პოლიტიკურ ნებასთან და სწორედ პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე სეკურიტიზებული საკითხი პრიორიტეტულ პოზიციას იკავებს დღის წესრიგში. აღსანიშნავია, რომ ოლ ვეივერის მიერ შემუშავებული კონცეფცია თავდაპირველად მხოლოდ საუბრის აქტს - საკითხის ლინგვისტურ კონტექსტში ეგზისტენციურ საფრთხედ განსაზღვრას გულისხმობდა. თუმცა, განვითარების გზაზე კონცეფციას სხვადასხვა განზომილებებიც შეემატა. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ დღეს, როგორც მაკდონალდი აღნიშნავს, საუბრის აქტი უსაფრთხოების შექოქმედად კი არა, არამედ უსაფრთხოების ინტერ-სუბიექტურად კონსტრუქციის პროცესში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია (McDonald, 2008, p. 566) მკვლევარის მთავარი ამოცანაა სეკურიტიზაციის საშუალებით დაადგინოს ვინ ახდენს სეკურიტიზაციას (აქტორი), რა საკითხის სეკურიტიზაცია ხდება (საფრთხეები), რატომ ხდება, რა შედეგები მოაქვს და რა პირობებში მიმდინარეობს ეს პროცესი (Buzan, Waever, & Wilde, 1998, p. 32).

სეკურიტიზაცია 3 საფეხურით ხორციელდება:

1. ეგზისტენციური საფრთხის იდენტიფიცირება;
2. აქტორის მხრიდან შესაბამისი ძალაუფლებისა და გავლენის ფლობა შესაბამისი საგანგებო ზომების მისაღებად;
3. საზოგადო მხარდაჭერის უზრუნველყოფა საფრთხის ლეგიტიმაციისა და საგანგებო ზომების უზრუნველსაყოფად.

## რეგიონი

რეგიონის განმარტება ნამდვილ გამოწვევად იქცა საერთაშორისო ურთიერთობის ბევრი მკვლევარისათვის. ერთი მხრივ ეს გეოგრაფიული ტერმინია, რომელიც სახელმწიფოთა ჯგუფის სივრცით ურთიერთმიმართებას გამოხატავს. მეორე მხრივ კი, მიიჩნევა, რომ

რეგიონი გულისხმობს გარკვეული დონის სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ჰომოგენურობას. რეგიონის კონცეფციაზე საუბრისას მიზანშეწონილია ბარი ბუზანისა და ოლე ვეივერის მოსაზრების მოხსენიება. მათ მიაჩნიათ, რომ რეგიონის ჩამოყალიბებაში იღებენ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და რეგიონი „სოციალურად არის კონსტრუირებული“ (Buzan & Waever, 2003, p.48). ასევე, გასათვალისწინებელია კაზენსტეინის მოსაზრება, რომლიც ბევრი მკვლევარის მსგავსად ხაზს უსვამს რეგიონის განსაზღვრებაში პოლიტიკური სფეროს მნიშვნელობას. მისი აზრით რეგიონს პოლიტიკური პრაქტიკის განსაკუთრებული ინსტიტუციონალიზებული ფორმა ახასიათებს (Katzenstein 2005, 12 ). თითქმის ყველა ავტორი ყურადღებას ამახვილებს რეგიონის ერთიანობის აღქმის მნიშვნელობაზე როგორც მის შიგნით ასევე გარე აქტორების მიერ. მეორე აუცილებელი მახასიათებელი კი რეგიონის სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების და ინტენსიური კავშირების არსებობაა. (Nye, 1968, 14)

მიუხედავად მრავალი განმარტებისა, აღნიშნული ნაშრომი ეყრდობა კონსტრუქტივიზმს. ამ პერსპექტივიდან რეგიონი წარმოადგენს სოციალურ კონსტრუქციას, რომელიც იქმნება და იცვლება სოციალურ პრაქტიკისა და დისკურსის შედეგად, რაც მუდმივი და ცვალებადი პროცესია. რომელიმე კუთხით რეგიონალიზაციის განხილვამ გარკვეულწილად გულისხმობს რეგიონის ფორმირების აღწერას. არ არსებობს რეგიონი როგორც უცვლელი მოცემულობა, შესაბამისად რეგიონული იდენტობა და ინტერესები ინტერქციის პროცესში ყალიბდება და ცვლებადია

ასევე, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელია რეგიონის განსაზღვრა უსაფრთხოების პერსპექტივიდან. ბარი ბუზანის თანახმად რეგიონი წარმოადგენს სივრცეს, სადაც სახელმწიფოები და სხვა აქტორები ერთმანეთთან იმდენად მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებული რომ მათი უსაფრთხოების განხილვა ერთნამეთისაგან

დამოუკიდებლად შეუძლებელია (ბუზან 43). რეგიონს აყალიბებს ორი ძირითადი დინამიკა გლობალური ძალები სისტემურ დონეზე და ურთიერთდამოკიდებულება რეგიონულ დონეზე. (Buzan, 2003, p.43)

## **შავი ზღვის რეგიონი**

შავი ზღვის შემთხვევაში რთულია ვისაუბროთ მასზე, როგორც რეგიონზე, რაც დიდწილად დამოკიდებულია კიდევ რეგიონის მარავალგვარ განსაზღვრებაზე. თუმცა, ფაქტია, რომ შავი ზღვა არ არის კლასიკური რეგიონის მაგალითი და ისტორიული, გეოგრაფიული ფაქტორები და საერთო უსაფრთხოების გამონწვევები ბევრისათვის არ არის საკმარისი მის რეგიონად აღქმისათვის. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ არ არსებობს საერთო კულტურა, იდენტობა, ძლიერი რეგიონული ორგანიზაციები და ა.შ. შავი ზღვის რეგიონში. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ შავი ზღვის გეოპოლიტიკურ ჭრილში განხილვა, რაც საკმაოდ ტრადიციული ნარატივია, გულისხმობს ამ სივრცის მოაზრებას რეგიონად.

მიჩნეულია, რომ შავ ზღვას სუსტი რეგიონალური ინტეგრაციის ხარისხი ახასიათებს, მანოლის აზრით ამისათვის არ არსებობს პოლიტიკური ნება რეგიონში (Aydin, 2010, p.12) მაკარიჩევის მიჩნევს, რომ შვი ზღვა „პოლიტიკურ რეგიონად“ ყალიბდება და ეს პროცესი პოლიტიკური მიზნებით არის განპირობებული, და არა, რეგიონული ინტეგრაციით. (Aydin,2004)

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ნაშრომი შავი ზღვის რეგიონს განიხილავს მხოლოდ უსაფრთხოების პერსპექტივიდან, კონკრეტულად კი რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის ჭრილში. ხაზგასასმელია, რომ ეს არ გულისხმობს შავი ზღვის რეგიონულობის შესახებ წარმომოხილ დებატებში შესვლას და როგორც ამ კონცეფციის შემქმნელები ამბობენ ის უფრო მეტად საგარეო პოლიტიკის ანალიზისათვის შექმნილი ინსტრუმენტია. ამასთანავე,

რადგან ნაშრომი მიიჩნევს, რომ შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა საზღვაო უსაფრთხოებაა, შავი ზღვის რეგიონზე საუბრისას იგულისხმება სანაპირო სახელმწიფოები: რუსეთი, თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, საქართველო და უკრაინა. ხოლო რეგიონულ აქტორებად მათთან ერთად მოიაზრება ნატო და ევროკავშირი, იმის გათვალისწინებით, რომ სანაპირო სახელმწიფოები (ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი) უშუალო წევრები არიან ამ ორგანიზაციების.

### მეთოდოლოგია

ერთი მხრივ, ნაშრომი წარმოადგენს ამხსნელი ქეისის შესწავლას (explanatory case study), რომელიც ცდილობს პასუხი გასცეს კითხვაზე: როგორ და რა ვითარებაში ყალიბდება მოვლენები? (ამ შემთხვევაში შავი ზღვის უსაფრთხოების რეგიონული კომპლექსი) და ცდილობს გაარკვიოს ამ მოვლენების არსი (სეკურიტიზაციის ტენდენციები შავ ზღვაში). ამ შემთხვევაში უსაფრთხოების რეგიონული კომპლექსის კონცეფცია გვთავაზობს კარგ თეორიულ ინსტრუმენტებს შავი ზღვის რეგიონში არსებული ვითარების შესასწავლად. ამ ინსტრუმენტებში იგულისხმება სეკურიტიზაცია და დისკურს ანალიზი.

მეორე მხრივ, თეორიული პერსპექტივიდან შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების შესწავლა უსაფრთხოების რეგიონული კომპლექსების თეორიის გაძლიერებასა და მისი გავითარების შესაძლებლობას წარმოადგენს.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კვლევა ძირითადად ეყრდნობა დისკურს ანალიზს, რაც გულისხმობს ტექსტუალური და სოციალური პროცესების გავლენას კონტექსტზე, აქტორთა მიერ სამყაროს აღქმაზე და მათ მოქმედებაზე. (George, 1994) Rienner შესაბამისად, დისკურსი წარმოადგენს იმ მნიშვნელობათა სისტემას, რომელიც აყალიბებს სოციალურ რეალობას. ნაშრომი იზიარებს მიდგომას, რომ მთავარი ნარატივები დისკურსის ჩამოყალიბებაში არის როგორც გლობალური პოლიტიკური მოვლენები, ასევე ცალკეული, კონკრეტული



პოლიტიკური პრაქტიკა. გლობალურ მოვლენებს წარმოადგენს ნატო-სა და რუსეთის დაპირისპირება, პოლიტიკურ პრაქტიკაში კი მოაზრებულია როგორც სახელმწიფოების იდენტობები, ასევე მათ შორის ისტორიული კავშირები, საგარეო პოლიტიკური კურში და რეგიონულ აქტორებს შორის ორმხრივი ურთიერთობები.

დისკურსის და სეკურტიზაციის ტენდენციების გამოვლენისათვის ნაშრომში გაანალიზებული როგორც პირველადი, ასევე მეორადი წყაროები: პოლიტიკოსებისა და უმაღლესი თანამდებობების პირების განცხადებები, ოფიციალური დოკუმენტები, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები. კვლევაში ასევე გამოყენებულია კონტენტ ანალიზი სამეცნიერო ნაშრომებისა და სხვადასხვა დოკუმენტების შესასწავლად, მათ შორის აქტორთა იდენტობების განსაზღვრისათვის. გარდა ამისა, კვლევა ხარისხობრივ ანალიზსაც მიმართავს სამხედრო სფეროში სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას.

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

ცივი ომის დასრულების შემდეგ უამრავი ახალი კრიზისისა და კონფლიქტის გამოჩენის ფონზე აქტუალური გახდა შავი ზღვის აუზის კვლევა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში. შესაბამისად, არსებობს განსხვავებული თეორიული სკოლის ფარგლებში შექმნილი ლიტერატურა დასახელებული საკითხების გარშემო. მიუხედავად

შესაბამისად, წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზნებიდან გამომდინარე იმისათვის, რომ ნათელი გახდეს კვლევის კავშირი საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში უკვე არსებულ ლიტერატურასთან და გამოიკვეთოს მისი მნიშვნელობა აუცილებელია სამი საკითხის გარშემო ლიტერატურის მიმოხილვა:

შავ ზღვაში განვითარებული მოვლენები ურთიერთობების ლიტერატურაში ძირითადად წარმოდგენილია რეალისტური ან ნეორეალისტური ნაშრომებით უსაფრთხოების შესახებ, რომლიც უგულვებელყოფს იდეების, რწმენების, ცოდნის და

ურთიერთდამოკიდებულებების ცვლილების მნიშვნელობას. საკმაოდ ბევრი ავტორი ყურადღებას ამახვილებს ბისეკზე და თურქეთის დაინტერესებას შავი ზღვის აუზისადმი შეისწავლის რეგიონალიზმის და რეგიონალური ინტეგრაციის ჩარჩოში. ეს ნაშრომი კი აბსოლუტურად ახალ თეორიულ მნიშვნელობას სძენს შავი ზღვის აუზსა და ..

დებორა სანდერსის წიგნი „Maritime security in the Black Sea: can regional solutions work?“ ერთ-ერთი ნაშრომია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების საკითხებზე. ავტორის აზრით ნატო არ მიიჩნევს შავ ზღვას პრიორიტეტად და ეს ზღვა დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე აუთვისებელ ადგილად (შავ ლაქად) ნატოსათვის.

ავტორის აზრით შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები ნატოსათვის აღიქმება მისი მომავალ გაფართოებისა და რუსეთთან ურთიერთობის კონტექსტში. ამიტომ, ნატოს პოლიტიკა ამ ზღვის მიმართ დღემდე მ შემოიფარგლება თურქეთის მიერ საკუთარ თავზე აღებულ რეგონული უსაფრთხოების ინიციატივად (Sanders 2009, 101-124). კაროლ ვეივერი წიგნში „ The Politics of the Black Sea Region“ შავ ზღვას მიიჩნევს დასავლეთისა და რუსეთის გავლენის სფეროებით ორ ნაწილად გაყოფილ რეგიონად. მისი აზრით ნატოსა და ევროკავშირის როლი არაერთმნიშვნელოვანია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის აუზის ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიზაციის მხარდაჭერა მათ ინტერესებში შედის, აცნობიერებენ, რომ ზედმეტი ჩართულობა და შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების საკითხებში ჩარევა შესაძლოა რუსეთის გალიზიანება და რეგიონის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. ვეივერი თურქეთს „დასავლეთის ბანაკში“ მოიაზრებს (Weiver 2013, 2-4 )

აღსანიშნავია, რომ ის წიგნები, რომელიც შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებს ეძღვნება, ძირითადად აღწერს საფრთხეებს შავი ზღვის რეგიონში, მათ შორის კონფლიქტებს კავკასიასა და მოლდოვაში, ასევე საერთო ახალი საფრთხეები, როგორცაა ტერორიზმი, საერთაშორისო კრიმინალი და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, თუმცა როგორც წესი, ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს რეგიონული სტრუქტურის მნიშვნელობაზე.

მათ შორის ასეთი წიგნების რიგშია 2013 წელს გამოცემული „Blue black sea: new dimensions of history, security, strategy, energy and economy», რომელიც განიხილავს რეგიონის ისტორიას, უსაფრთხოებას, ენერჯეტიკას და ა.შ. ასევე, რეგიონის მნიშვნელობა ხშირად ხაზგასმულია ძლიერი სახელმწიფოებისათვის რეგიონის როლზე(მაგალითად, შავი ზღვის ადგილზე რუსეთის, თურქეთისა და აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში), მაგრამ მსგავს ნაშრომებში არაფერი ნათქვამი რეგიონულ დისკურსზე ან რეგიონულ დონეზე განსაზღვრულ ამ საივრზის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე.(US policies towards the black sea region, the EU`s black sea policy, black sea regional policies of Russia and US after September 11)“

Dimitrios Triantaphyllou თავის ნაშრომში „The ‘security paradoxes’ of the Black Sea region“ ცდილობს ახსნას შავ ზღვაში არსებული „უსაფრთხოების პარადოქსების“ მიზეზი და მთავარ პრობლემად სწორედ მთავარ რეგიონულ აქტორებს - რუსეთს, თურქეთს, ევროკავშირსა და ნატოს-აშშ-ს ინტერესებს შორის დაპირისპირებას მიიჩნევს, რაც ასევე, ხელიშემშლელ ფაქტორად არის განხილული რეგიონული ინტეგრაციისათვის. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამ სტატიაში შავი ზღვა რეგიონად არის განხილული უსაფრთხოების ჭრილში მრავალპოლარული მსოფლიოს რეალობის გათვალისწინებით.

მუსტაფა აილინი თავის ნაშრომში „Geographical blessing versus geopolitical curse: great power security agendas for the Black Sea region and a Turkish alternative“ ყურადღებას ამახვილებს ძლიერ სახელმწიფოებზე (2009).

2014 წელს დაწყებულმა უკრაინის კრიზისმა, შავი ზღვის მილიტარიზაციამ და რუსეთის მორიგმა აგრესიამ რეგიონში კიდევ უფრო გაამძაფრა ინტერესი აკადემიურ წრეებში აღნიშნული რეგიონის მიმართ. შესაბამისად, ძლიან ბევრი ლიტერატურა ეძღვნება რუსეთის ინტერესებსა და სტრატეგიებს შავ ზღვაში და მის დაპირისპირებას აშშ-სა და ნატოსთან. მათ შორის არის 2016 წელს ევროპული პოლიტიკის ანალიზის(CEPA) მიერ შემუშავებული

დოკუმენტი “Black Sea Rising: Russia`s Strategy in Southeast Europa” კი განიხილავს რუსეთის მილიტარიზაციას შავ ზღვაში.

### **შავი ზღვის სივრცის რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსად ჩამოყალიბება**

შავი ზღვის რეგიონულ კომპლექსად ჩამოყალიბებას განსაზღვრავს შესაბამისი დისკურსი და სეკურიტიზაციის ტენდენციები:

1. რეგიონული აქტორების პოლიტიკურ დისკურსში შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხების, განსაკუთრებით კი საზღვაო უსაფრთხოების კონცეფციის აქტუალიზაცია

ა) შავ ზღვასთან დაკავშირებული რეგიონული უსაფრთხოების დისკურსი ძლიერი აქტორების ე.წ. Great Power-ების უსაფრთხოების დღის წესრიგში:

- რუსეთისა და თურქეთის რეგიონული ინტერესები, ძლიერი ძალის იდენტიფიკაცია;
- შავ ზღვასთან დაკავშირებული რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის გამოჩენა ნატოსა და ევროკავშირის დღის წესრიგში, რაც გულისხმობს რეგიონის უსაფრთხოების საკითხებისადმი პარტნიორი სახელმწიფოების საერთო ხედვის შემუშავების მცდელობასა და ამ ორგანიზაციების უფრო აქტიურ ჩართვას აღნიშნულ საკითხებში

ბ) შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებს - საქართველოს, უკრაინის, ბულგარეთისა და რუმინეთის პოლიტიკურ დისკურსში შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხების აქტუალიზაცია;

## 1.2 შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება ნატოსა და ევროკავშირის დისკურსში

### ნატო

2004 წელს ბულგარეთისა და რუმინეთის ალიანსში გაწევრიანების შემდეგ ნატო შავი ზღვის რეგიონულ აქტორად იქცა და რეგიონის უსაფრთხოება პირდაპირ აღმოჩნდა დაკავშირებული ნატო-ს უსაფრთხოებასთან. დღეს, შავი ზღვის 6 სანაპირო ქვეყნიდან 3 ნატო-ს წევრია, 2-ს კი გაწევრიანება სურს და მიისწრაფვის ნატოში ინტეგრაციისაკენ.

თუმცა, შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების გაწევრიანების დღიდან 10 წელი დასჭირდა ალიანსს, რომ შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების სტრატეგიასა და პოლიტიკაზე დაეწყო რეალური ზრუნვა.

ნატო-სთვის შავ ზღვას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან მას დიდი ადგილი უჭირავს ევროპულ კოლექტიური თავდაცვის სისტემაში სამხედრო თვალსაზრისით, ამავდროულად რუსეთთან გამკლავების ერთერთ ფრონტს წარმოადგენს და სხვადასხვა კონფლიქტებისა და დაპირისპირების ფონზე ევრო-ატლანტიკური სივრცის სტაბილურობის წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევაა. ტერორიზმის საფრთხემ და ახლო აღმოსავლეთში (კერძოდ, სირიაში) მდგომარეობის ესკალაციამ კიდევ უფრო დიდი სტრატეგიული დატვირთვა შესძინა ამ რეგიონს. აღსანიშნავია, რომ ნატო-ს ტრადიციულ ინტერესებად შავი ზღვის რეგიონის მიმართ მოიაზრება დემოკრატიზაციის გავრცელება, სტაბილურობის და სატრანზიტო მარშრუტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც ევროპის ენერჯო-მომარაგების მნიშვნელოვან წილს იკავებს. (Larrabee, 2009, p. 302)

ნატო-ს დისკურსში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები პირველად ცივი ომის დასრულების შემდეგ გამოჩნდა. ხოლო ალიანსის გაფართოებამ (რის შედეგადაც ბულგარეთი და რუმინეთი მისი წევრები გახდა) და ახალმა გამოწვევებმა მოკავშირეების ყურადღების შავ ზღვაზე მიპყრობა გამოიწვია. მაგრამ რეგიონში არსებული მუდმივი კონფლიქტების, მისი გადაჭრის გზებში არაეფექტური ჩართულობის,

ინტერესთა დაპირისპირების და ბალკანეთსა და ავღანეთზე ნატოს ფოკუსირების ფონზე ნათელი ხდება, რომ მას არ ჰქონია ჩამოყალიბებული რეგიონული სტრატეგია შავი ზღვის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ყველა სახელმწიფოსთან რეგიონში ნატომ დაამყარა ინსტიტუციონალიზირებული კავშირები ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისიდან (მაგ: პარტნიორობა მშვიდობისათვის, ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, ბილატერალური კომისიები და ა.შ) თუმცა ნატო არ განიხილავდა შავი ზღვის აუზის უსაფრთხოებას per-se . ის მიიჩნევდა შავ ზღვას უფრო ფართო რეგიონის ნაწილად, რომელიც მოიცავს კასპიასა და ცენტრალურ აზიას, ამასთანავე განიხილავდა მას მნიშვნელოვან სატრანზიტო მარშრუტად, მაგრამ არა თვითმყოფად რეგიონად. (Aydin, 2005, pp.79-80 )

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ნატო წლების განმავლობაში მუშაობდა რეგიონში უსაფრთხოების ერთიანი ხედვის ჩამოსაყალიბებლად. ნატოს ღია კარის პოლიტიკა შავი ზღვის ქვეყნებს უბიძგებს სამხედრო რეფორმებისათვის თავისი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ნატოს ინიციატივით შავი ზღვის ქვეყნებმა ერთად იმუშავეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევებისა და შესაძლებლობების შეფასების საერთო დოკუმენტზე (SEECAP) და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ჯგუფის (SEEGROUP) ფარგლებში. (Aydin, 2005, p.82 )

შეიძლება ითქვას, რომ ნატოს მხრიდან მრავალი სამხედრო ინიციატივა არსებობდა შავი ზღვის აუზისადმი. მათ შორის, აღსანიშნავია, ნატოს სურვილი შავი ზღვის აუზში ემოქმედა Operation Active Endeavour (OAE)-ს ფარგლებში, რომელიც 2001 წლის ტერორისტულ აქტზე პირდაპირ პასუხს წარმოადგენს. OAE -ს მიზანი ხმელთაშუა ზღვაში ტერორისტული და კრიმინალური მოქმედებების შეჩერება და გამოვლენაა. ის წარმოადგენს ფართომასშტაბიან საზღვაოსნო უსაფრთხოების ოპერაციას მუდმივი ფლოტით. (Sanders, 2009, p. 108). თუმცა, თურქეთისა და რუსეთის წინააღმდეგობის გამო ეს ინიციატივა ვერ განხორციელდა შავ ზღვაში.

გარდა ამისა, შავ ზღვაში ნატოს სამხედრო მისიები, რომლებიც უკვე 2 ათწლეულზე მეტს ითვლის, შესაძლებელია განვიხილოთ პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (PAP) და ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფარგლებში. IPAP საშუალებას აძლევდა აშშ-ს და თურქეთის გაერთიანებულ ძალებს ბულგარეთთან და რუმინეთთან ერთად იმუშაოს საქართველოსა და აზერბაიჯანში თავდაცვის რეფორმის პროგრამაზე რუსეთის

მონაწილეობით ან მის გარეშე. ალიანსმა მიიღო პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ტერორიზმის წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობდა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრი 46 ქვეყანა. სტამბულის სამიტის შემდეგ კი მიიღეს პარტნიორობის სამოქმედო გეგმა თავდაცვის ინსტიტუციური გაძლიერების(PAP- DIB) და შავი ზღვის შესახებ(PAP-BS). ეს დოკუმენტები ეხმარება ნატოს მულტილატერული თანამშრომლობის გაღრმავებაში პარტნიორებთან და მათ თავდაცვის რეფორმირებაში ჩასართავად. (Aydin 2005; 81 )

შეიძლება ითქვას, ნატო-მ შავი ზღვის მიმართ ყურადღება გაამახვილა რეგიონში რუსეთის ღია აგრესიის გამოვლენის შემდეგ, რაც დიდ საფრთხედ წარმოაჩინა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა. თუმცა, რეგიონული უსაფრთხოების თანმიმდევრული ხედვის შემუშავების აუცილებლობა ალიანსმა რუსეთის მიერ განხორციელებული ყირიმის ანექსიის შემდეგ დაინახა.

ყირიმის ანექსიის შემდეგ შავ ზღვაში არსებული მდგომარეობის წარმატებული სეკურიტიზაციის შედეგად შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხმა პრიორიტეტული ადგილი დაიკავა ნატო-ს პოლიტიკურ დღის წესრიგში და მჭიდროდ დაუკავშირდა ალიანსისათვის ეგზისტენციალური მნიშვნელობის ამოცანებს. ამას მოწმობს აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა ორგანიზაციის სხვადასხვა სტრუქტურებში, მათ შორის ისეთი მაღალი დონის ფორმატებში, როგორებიცაა ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო და პარლამენტი და ამავედროულად სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებში მისი ასახვა. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შავი ზღვის უსაფრთხოებაზე აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს რეგიონის არანეგრი ალიანსის სხვა სახელმწიფოების მხრიდან ნატო-ს ფორმატში, ხოლო აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში ინტეგრაციისა და ალიანსთან თანამშრომლობის გაძლიერების კონტექსტში.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის და შავი ზღვის აუზში მისი პოზიციების გაძლიერების ფონზე 2016 წლის ივლისში ვარშავაში გამართულ ნატო-ს სამიტზე მიღებულ კომუნიკეში

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შავი ზღვის, როგორც რეგიონის, უსაფრთხოების საკითხებს.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ რუსეთის მიერ დესტაბილიზაციის მიზნით განხორციელებული ქმედებები და მის მიერ გატარებული პოლიტიკა მოიცავს პროვოკაციულ სამხედრო მოქმედებებს ნატო-ს საზღვრებთან, მათ შორის შავი ზღვის რეგიონში. (მე-10 მუხლი)

ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობა შავ ზღვაში მიზნად ისახავს ძალის პროექციას აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვაზე, რაც არის საფრთხე და გამოწვევა მეკავშირეებისათვის. (მე-10 მუხლი)

გარდა ამისა, დოკუმენტის თანახმად, ნატო მიიჩნევს, რომ შავ ზღვას, სხვა რეგიონებთან ერთად, როგორებიცაა ბალტიის ზღვა, ხმელთაშუა ზღვა და ჩრდილოეთ ატლანტიკა, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთი აგრძელებს სამხედრო ზეწოლას დასახელებულ რეგიონებში და მისი მოქმედებები ამ რეგიონების უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. კომუნიკეს მიხედვით, განვითარებული მოვლენები ზრდის არაპროგნოზირებადობას და კონფლიქტის რისკს. ხოლო, ნატო აცხადებს, რომ გააგრძელებს აღნიშნული რეგიონების აქტიურ მონიტორინგს და მისი მხრიდან რეაგირება ყველა რეგიონში იქნება ინდივიდუალური. გარდა ამისა, ხაზი არის გასმული, რომ ნატო აქტიურად ითანამშრომლებს პარტნიორებთან, რათა გაზარდოს ინფორმაციულობის დონე და ხელი შეუწყოს გამოწვევებთან გამკლავებისთვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებას. (მუხლი 23)

კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესების გამო, შავი ზღვის რეგიონი გათვალისწინებულია ალიანსის მიდგომებსა და პოლიტიკაში. ასევე აღნიშნულია, რომ ნატო მხარს დაუჭერს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მცდელობებს უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის. აღსანიშნავია, რომ სწორედ შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში ნახსენებია



ურთიერთობის გაღრმავება ალიანსის პარტნიორებთან - საქართველოსა და უკრაინასთან. (მუხლი 23)

ასევე, დოკუმენტის თანახმად, ნატო მიზნად ისახავს გააძლიეროს თავისი სამხედრო წარმომადგენლობა ალიანსის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე. შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებით შესაბამისი ზომების მიღება და მათ შორის რუმინეთის ინიციატივა მრავალეროვნული სამხედრო შენაერთის შექმნასთან დაკავშირებით მოაზრებულია როგორც შესაძლებლობა მეკავშირეების შენაერთების ინტეგრირებული ტრენინგის გასაძლიერებლად ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სამეთაურო მრავალეროვნული დანაყოფის ფარგლებში(Headquarters Multinational Division Southeast), რაც გაზრდის ალიანსის თავდაცვისა და შეკავების შესაძლებლობებს. დოკუმენტი აღნიშნულ ღონისძიებებს განიხილავს, როგორც ძლიერ მინიშნებას სწორედ რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერების კონტექსტში. (მუხლი 41).

(ვარშავის სამიტის კომუნიკე  
[https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_133169.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm))

ქ. ბუქარესტში 2017 წლის 6-9 ოქტომბერს მიმდინარეობდა ნატოს 63-ე საპარლამენტო ასამბლეის სესიები, სადაც 50 ქვეყნის დელეგაცია იღებდა მონაწილეობას. ნატო-ს ქვეყნების გარდა, სესიას ასპირანტი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოკავშირე სახელმწიფოების დელეგაციებიც დაესწრნენ.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიიღეს რეზოლუცია - „სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“, რომელიც გერმანელი დეპუტატის ულა შმიდტის მიერ არის მომზადებული. დოკუმენტში საუბარია რუსეთის შეკავებაზე და ამ კონტექსტში, შავი ზღვის უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერების მნიშვნელობაზე. რეზოლუციის მიხედვით საქართველოსა და უკრაინას შავი ზღვის უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებული როლი ენიჭება.

რეზოლუციის თანახმად, ასამბლეა ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს შავი ზღვის რეგიონში სიტუაციის დაძაბვის გამო, რაც განსაკუთრებით გამოიწვია რუსეთის მიერ ყირიმის არალეგიტიმურმა ანექსიამ, ისევე როგორც საქართველოს რეგიონების, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის უკანონო ოკუპაციის გაგრძელებამ და მიესალმება ბუქარესტის სამიტზე ალიანსის ლიდერების გადაწყვეტილებას მიღონ ზომები რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერებისთვის. ასევე, ასამბლეა გმობს რუსეთის მიერ საქართველოს და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის უპატივცემულობას, ადამიანის უფლებების დარღვევას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დამინების და დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობებს იმ მეზობელ სახელმწიფოებში, რომლებსაც ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებთან ინტეგრაცია სურთ. (NATO Resolution 437, 2017)

საყურადღებოა ის დისკურსი, რომელიც იქმნება შავ ზღვაში ნატო-ს წარმომადგენლობის მნიშვნელობის შესახებ ყირიმის ანექსიის შემდეგ. შავი ზღვის საკითხების სეკურიტიზაციის შედეგად ნატოსათვის მას ეგზისტენციალური მნიშვნელობა მიენიჭა, რაც კარგად ჩანს 2017 წლის 10 ოქტომბერს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის რუმინეთში ვიზიტისას და შავი ზღვაში ნატო-ს ფლოტის მონახულებისას წარმოთქმულ სიტყვაში. მან აღნიშნა, რომ სამხრეთის (მათ შორის შავი ზღვის აუზში) ნატო-ს სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდის მიზანი არის მსოფლიოს დაანახოს, რომ „ნატო აქ არის, ნატო ძლიერია და ნატო ერთიანია“, რაც ალიანსის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. (Smith, 2017)

ალიანსისათვის შავი ზღვის უსაფრთხოების პრიორიტეტულობაზე მიანიშნებს ბოლო წლების მანძილზე აღნიშნული საკითხის განხილვა ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს შეხვედრებზე თავდაცვის მინისტრების დონეზე. 2016 წელს ოქტომბერში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ გაკეთებულ კომენტარში იენს სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ განიხილეს შავი ზღვის რეგიონში ნატო-ს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სამხედრო წარმომადგენლობის საკითხი და სიხარული გამოთქვა ამ

ნიმართულებით არსებული პროგრესის შესახებ. მან ასევე, ხაზი გაუსვა, რომ ნატო-ს წევრმა სხვადასხვა სახელმწიფომ სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიიღონ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. აღსანიშნავია, რომ მან შავი ზღვის უსაფრთხოებაზე ისაუბრა ალიანსის ერთსულოვნებისა და სიმტკიცისათვის ხაზის გასმის კონტექსტში. („Stoltenberg on strengthening NATO’s presence in Black Sea region: “We are working on measures in the air and at sea,” 2016)

ასევე, იენს სტოლტენბერგის თანახმად, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხები ერთ-ერთ მთავარ განსახილველ თემას წარმოადგენდა თავდაცვის მინისტრების ღონეზე ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს შეხვერაზე 2017 წლის თებერვალშიც. (NATO Press conference, 2017)

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნატო-ს დისკურსის ანალიზისა და ალიანსისათვის ამ რეგიონის მნიშვნელობის განხილვის შედეგად კარგად ჩანს, რომ სწორედ ყირიმის ანექსიის შემდეგ შავი ზღვის რეგიონში ძალთა ბალანსის დარღვევამ უბიძგა ნატო-ს ეზრუნა რეგიონული უსაფრთხოების ხედვის ჩამოყალიბებაზე, რასაც დიდი წვლილი შეაქვს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების კონცეფციის განვითარებაში. ამავდროულად, ნატო-ს რეაგირება ყირიმის ანექსიაზე და მისი სტრატეგია მიანიშნებს, რომ შავი ზღვის რეგიონს ალიანსი ერთიან კომპლექსად აღიქვამს, სადაც ერთი სახელმწიფოდან მომდინარე საფრთხე ყველა სხვა აქტორზე აისახება, ამავდროულად, შავი ზღვის რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების შექმნისათვის ნატო საკუთარ სტრატეგიაში რეგიონში არსებული ყველა აქტორის (რა თქმა უნდა, რუსეთის გარდა) მონაწილეობას მოიაზრებს.

### **ევროკავშირი**

ევროკავშირისთვისაც, ნატო-ს მსგავსად, შავი ზღვის რეგიონს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში, რეგიონი მნიშვნელოვანი დერეფანია ევროკავშირის ვაჭრობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის. ამასთანავე, მისი

ღია კარის პოლიტიკა ცხადყოფს, რომ დემოკრატიისა და სტაბილურობის გავრცელება რეგიონში ორგანიზაციის ინტერესებშია. ასევე, ახალი საფრთხეების, მათ შორის მიგრაციისა და ტერორიზმის ფონზე შავი ზღვის სივრცე ახალ დატვირთვას იძენს. რეგიონის 2 სახელმწიფო ევროკავშირის წევრია (ბულგარეთი და რუმინეთი, ხოლო 3-ს სურს ორგანიზაციაში განწევრიანება (თურქეთი, საქათველო, უკრაინა).

2007 წლიდან, მას შემდეგ, რაც ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირის წევრი გახდა, ევროკავშირი იზიარებს საზღვრებს შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებთან, და შესაბამისად, რეგიონში არსებულ გამოწვევებს, საფრთხეებს და შესაძლებლობებს ევროკავშირი საკუთარ გამოწვევებად, საფრთხეებად და შესაძლებლობებად აღიქვამს. ევროკავშირი შავი ზღვის აუზს რომ ერთიან, განუყოფელ და მისთვის მნიშვნელოვან რეგიონად მიიჩნევს, ამას ადასტურებს ჯერ კიდევ 2007-2011 წლებში მის მიერ შემუშავებული სხვადასხვა ინიციატივები, სტრატეგიები და დოკუმენტები.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ 2007 წელს, ბულგარეთისა და რუმინეთის ევროკავშირში განწევრიანების შემდეგ, ევროკავშირი რეგიონულ აქტორად იქცა შავი ზღვის აუზში. სწორედ 2007 წელს ჩაეყარა საფუძველი შავი ზღვის სინერჯის დაარსებას, რომელიც ერთ-ერთ მთავარ რეგიონულ ინიციატივას წარმოადგენს და ხელს უწყობს ევროკავშირის თანამშრომლობის გაღრმავებას სხვადასხვა სფეროებში შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებთან. შავი ზღვის სინერჯის ფარგლებში თანამშრომლობა მიმდინარეობს თევზჭერის, საზღვაო ტრასპორტის, ენერჯეტიკის, ინფორმაციის გაზიარების მიმართულებით. ეს ინიციატივა ასევე მხარს უჭერს რეგიონში დემოკრატიის გაძლიერებას, კარგი მმართველობისათვის რეფორმების გატარებასა და ადამიანის უფლებების დაცვას, რაც ევროკავშირის პერსპექტივიდან მნიშვნელოვან კონტრიბუციას წარმოადგენს რეგიონის სტაბილურობისათვის. აღნიშნული ინიციატივა ადასტურებს ევროკავშირის დაინტერესებას რეგიონის მიმართ და წარმოადგენს ევროკავშირის მხრიდან ერთიანი სტრატეგიისა და თანმიმდევრული პოლიტიკის

შემუშავების მცდელობას შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებით. (Black Sea Synergy – A New Regional Cooperation Initiative, 2017)

ასევე, ევროკავშირის მიერ შავი ზღვის აუზის რეგიონად აღქმის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს 2011 წლის 20 იანვას ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია „ევროკავშირის შავი ზღვის სტრატეგია“. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის რეგიონი სტრატეგიულ ხიდს წარმოადგენს, რომელიც ევროპას აკავშირებს კასპიის ზღვის აუზთან, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთთან და მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს ევროპას, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ჩინეთთან კავშირში. ასევე, ხაზგასმულია, რომ შავი ზღვის რეგიონს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირისთვის, რადგან ის ნაწილობრივ ევროკავშირის შემადგენელი ნაწილია და გეოგრაფიული თვალსაზრისით მეტწილად ევროპულ ზღვას წარმოადგენს. დოკუმენტის თანახმად ევროკავშირსა და შავი ზღვის რეგიონს საერთო გამოწვევები და შესაძლებლობები აქვთ უსაფრთხოების თვალსაზრისით და მთავარ ინტერესს წარმოადგენს, რომ უზრუნველყოფილი იყოს რეგიონში მშვიდობა, დემოკრატია, უსაფრთხოება, სტაბილურობა, რეგიონული თანამშრომლობა და მდგრადი განვითარება. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ ევროკავშირმა უნდა ითამაშოს უფრო აქტიური როლი შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის ჩარმოყალიბებაში. ( European Parliament resolution, 2011)

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სექტორულ ინიციატივებში ხშირად ფიგურირებს შავი ზღვის რეგიონი. მაგალითისათვის, ასეთ ინიციატივას წარმოადგენს The Black Sea Horizon Project, რომელიც მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობას ისახავს მიზნად (Black Sea Horizon, 2018), ასევე 2009-2010 წლებში კიდევ უფრო გაფართოვდა შავი ზღვის სინერჯია და მას დაემატა 3 სექტორული მიმართულება : გარემო, ენერჯეტიკა და ტრანსპორტი (Pirinski & Deyanov, 2017, p.17) გარდა ამისა, ევროკავშირმა შეიმუშავა „საზღვრებს შორის თანამშრომლობის

პროგრამა შავი ზღვის აუზისთვის“ (2007-2013წლებისათვის), რომელიც მოიცავდა ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა სოციალური და ეკონომიკური სფერო, გარემოს დაცვა, კულტურული და საგანმანათლებლო ინიციატივები. (Pirinski & Deyanov, 2017, p.17)

თუმცა, ევროკავშირის მიერ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ყირიმის ანექსიის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონში არსებული გამოწვევები აქტიური განხილვის საკითხს წარმოადგენს, როგორც ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში, ასევე არაფორმალურ გარემოში გამართულ დისკუსიებსა და კონფერენციებზე.

საყურადღებოა, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებით დაინტერესების შემდეგ, ევროკავშირის დღის წესრიგში შავი ზღვის რეგიონმა უფრო „მაღალ საფეხურებზე“ დაიმკვიდრა ადგილი.

2017 წლის 18 მარტს ყირიმის არალეგალური ანექსიის 3 წლისთავისადმი მიძღვნილ ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის - ფედერიკა მოგერინის - მიერ გაკეთებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ „ყირიმის ნახევრაკუნძულზე მიმდინარე მილიტარიზაციის პროცესი გავლენას ახდენს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე“ (Mogherini, 2017)

2016 წლის ივნისში ევროკავშირის მიერ შემუშავებულ „ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების გლობალურ სტრატეგიაში“ შავი ზღვის რეგიონი ნახსენებია ევროპის უსაფრთხოების წესრიგისა და ევროკავშირის მიერ რუსეთის მზარდ აგრესიასთან გამკლავების კონტექსტში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „მშვიდობა და სტაბილურობა ევროპაში აღარ წარმოადგენს უცვლელ მოცემულობას. რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევა და უკრაინის დესტაბილიზაცია, ვრცელ შავი ზღვის რეგიონში არსებულ გაჭიანურებულ კონფლიქტებთან ერთად, გამოწვევას წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოების წესრიგის ძირითადი საფუძვლებისათვის“. აქვე,

ევროკავშირი გამოხატავს მზაობას, რომ დაიცვას საერთაშორისო სამართალი, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პრინციპი და თითოეული სახელმწიფოს უფლება თავისუფლად აირჩიოს საკუთარი მომავალი“.

(European Union Global Strategy, 2016, p. 33)

ასევე „ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების გლობალურ სტრატეგიაში“ ერთ-ერთ მიმართულებად გამოყოფილია მაკრო-რეგიონული სტრატეგია. ამ კონტექსტში დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს იმგვარი რეგიონული მმართველობების ჩამოყალიბებას, რომელიც მისცემს მას შესაძლებლობა უსაფრთხოების პრობლემების უკეთ გადაჭრისათვის, გლობალიზაციის პროცესიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელის გაზრდისათვის, კულტურისა და იდენტობის სრულად გამოხატვისა და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებში მეტი გავლენის მოპოვებისათვის. გარდა ამისა, დოკუმენტის თანახმად, ევროკავშირი გამოხატავს მზაობას, ხელი შეუწყოს რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას როგორც ევროპის კონტინენტზე, ასევე მსოფლიოს მასშტაბით. (European Union Global Strategy, 2016, p. 10)

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მიერ მაკრო-რეგიონული სტრატეგიის შემუშავება და მასზე ყურადღების გამახვილება ახალ მნიშვნელობას და როლს შესძენს შავი ზღვის აუზს ევროკავშირის პოლიტიკურ დღის წესრიგში. დღეისათვის უკვე შემუშავებულია კონკრეტული მაკრო-რეგიონული სტრატეგიები 4 რეგიონისათვის (ბალტიისპირეთის, დუნაის, ალპებისა და ადრიატიკისათვის), თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ 2020 წლისათვის მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგება მსგავსი სტრატეგიის შემუშავება შავი ზღვის რეგიონისთვისაც. (Varna Forum 2.0, 2017, p. 10)

როგორც მკველვარების უმრავლესობა ვარაუდობს, შავი ზღვის რეგიონი ევროკავშირისათვის უფრო აქტუალურ საკითხად იქცევა 2018-2019 წლებში

ბულგარეთისა და რუმინეთის ევროსაბჭოს პრეზიდენტობის პერიოდში. ამ კუთხით, შიძლება ითქვას, რომ პროგნოზები მართლდება.

ბულგარეთის ევროსაბჭოს პრეზიდენტობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დასახელებულია უსაფრთხოება და სტაბილურობა. ასევე საყურადღებოა, რომ ბულგარეთის პრეზიდენტობის პროგრამის ფარგლებში აღნიშნულია, რომ ევროკავშირმა მაკრო-რეგიონული სტრატეგიის სრული პოტენციალი უნდა გამოიყენოს და ამ კონტექსტში დასახელებულია შავი ზღვის რეგიონი დუნაისპირეთთან ერთად. ამასთანავე, ბულგარეთის პროგრამა გულისხმობს შავი ზღვის რეგიონის უფრო აქტიურ წარმოჩენას. (Bulgarian Presidency of the Council of the European Union, 2018, p.13)

როგორც ზემოთ აღინიშნა, შავი ზღვის რეგიონი ევროკავშირის პოლიტიკის კონტექსტში აქტიურად განიხილება აკადემიურ წრეებში, სხვადასხვა მრგვალ მაგიდებსა თუ კონფერენციებზე. მაგალითისათვის, 2016 წელს სოფია (ბულგარეთი) მასპინძლობდა მრგვალ მაგიდას თემაზე „ევროკავშირი ცვალებად გლობალურ გარემოში: რა ელოდებათ ევროკავშირის მეზობლებს“, სადაც მონაწილეობას იღებდა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ფედერიკა მოგერინი. დისკუსიის ერთ-ერთი პანელი ეძღვნებოდა საკითხს „არახელსაყრელი გზაჯვარედინი: შავი ზღვის რეგიონი ევროკავშირსა და რუსეთს შორის“. აღსანიშნავია, რომ ლონისძიებაში მონაწილე ევროკავშირის წარმომადგენლებმა, სხვადასხვა ქვეყნის არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური წრეების წევრებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები შავი ზღვის რეგიონის მიმართ ევროკავშირის პოლიტიკის შესახებ, რაც გულისხმობდა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ფარგლებში არსებული მექანიზმების სრულ ამოქმედებას, დემოკრატიის ხელშეწყობას რეგიონში, ევროკავშირის „რბილი ძალისა“ და სტრატეგიული კომუნიკაციის გააქტიურებას. ასევე, დისკუსიის ფარგლებში, ევროკავშირის მთავარ



დაპირისპირებულ მხარედ შავი ზღვის რეგიონში სწორედ რუსეთი განიხილებოდა. (European Council on Foreign Relations, 2015)

საყურადღებოა, რომ 2015 და 2017 წლებში ვარნაში (ბულგარეთი) ჩატარდა კონფერენცია „ვარნას ფორუმი - ვიფიქროთ ერთად“ „ფრიდრიხ ებერტის ფონდის“ ორგანიზებით და მასში მონაწილეობას იღებდნენ ევროპარლამენტისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ოფიციალური პირები, ასევე, არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. ვარნას ფორუმზე შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით ევროკავშირის მაკრო-რეგიონული სტრატეგიის მისადაგება მოხდა შავი ზღვის რეგიონთან და აღინიშნა, რომ ევროკავშირის სტრატეგია ხელს შეუწყობს რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებას სხვადასხვა სფეროებში, როგორც ინტრასტრუქტურისა და ენერჯეტიკის, ასევე უსაფრთხოების საკითხებში.

ევროკავშირის პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის მიმართ, ცხადყოფს, რომ ევროკავშირი მას ერთიან, ექსკლუზიურ რეგიონად აღიქვამს და დიდ როლს თამაშობს მის რეგიონად აღქმაში სხვა აქტორების მიერ. ხოლო უსაფრთხოების პრობლემების ინტენსიფიკაციის შემდგომ, შავი ზღვის უსაფრთხოებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ევროკავშირის პოლიტიკაში.

### **რუმინეთი**

რუმინეთის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ტრადიციულად უჭირავს შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების საკითხს. რუმინეთის ოფიციალური რიტორიკის მიხედვით რუმინეთის, როგორც რეგიონული მოთამაშის მნიშვნელობა და ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაში მისი როლი მეტწილად განისაზღვრება სწორედ შავი ზღვის უსაფრთხოების კომპლექსის სტაბილურობაში შეტანილი კონსტრიბუციით. შავი ზღვის აუზში მილიტარისტული ტენდენციების გამოჩენის შემდეგ რუმინეთს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა აღნიშნული

საკითხის აქტუალიზებისათვის შეეწყო ხელი საერთაშორისო ასპარეზზე, რეგიონში არსებული მდგომარეობის სეკურიტიზაციის გზით.

შავი ზღვის რეგიონში საფრთხეების აღქმას დიდწილად განსაზღვრავს რუმინეთის ანტაგონისტური დამოკიდებულება რუსეთის მიმართ და მისი საფრთხედ მოაზრება, რაც ისტორიულადაც არის განპირობებული.

რუმინეთს სურს საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ რუმინეთის პოლიტიკური ლიდერების მხრიდან შავი ზღვის აუზზე განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ნატო-ს ფარგლებში. მაგალითისათვის, 2017 წელს რუმინეთში ნატოს საჰაერო ბაზის გახსნის ცერომიანილზე წარმოთქმულ სიტყვაში, რუმინეთის პრემიერმა ბაზის გახსნა დააკავშირა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან. („Iohannis: We can be happy and proud to have Kogalniceanu air base,“ 2017)

ასევე ყირიმის ანექსიის შემდეგ უმაღლესი დონის ორმხრივ და მრავალმხრივ შეხვედრებზე რუმინეთის მხრიდან აქტიურად განიხილება შავი ზღვის რეგიონში არსებული მდგომარეობა უსაფრთხოების თვალსაზრისით:

2017 წლის სექტემბერში რუმინეთის თავდაცვის მინისტრის ვაშინგტონში ვიზიტისას და ატლანტიკური საბჭოს წევრებთან გამართული შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე უსაფრთხოების დინამიკაზე. რუმინეთმა ამერიკელ პარტნიორებს გააცნო საკუთარი ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და თავდაცვის მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია აშშ-სა და რუმინეთის მჭიდრო თანამშრომლობა, იმისათვის, რომ მეკავშირეებმა შეიმუშაონ ეფექტური სტრატეგია შავი ზღვის რეგიონისათვის. მეორე მხრივ, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რუმინეთი არის სანდო და მნიშვნელოვანი პარტნიორი, რომელსაც შეაქვს მზარდი წვლილი რეგიონულ უსაფრთხოებასა და სტაბილურობაში. („DefMin pays visit to the US, meets members of the Atlantic Council,“ 2017) ასევე, 2017 წელს ამერიკელ კოლეგასთან

რუმინეთის თავდაცვის მინისტრის შეხვედრისას დღის წესრიგში ერთ-ერთ განსახილველ თემას წარმოადგენდა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები. („DefMin Fifer, Defence Secretary Mattis discuss Black Sea security, US - Romania military cooperation in Afghanistan,” 2017)

2017 წლის ივნისში რუმინეთის პრეზიდენტის იოჰანესისა და გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის შეხვედრისას განხილულ იქნა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი და როგორც რუმინეთის პრეზიდენტმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ეს რეგიონი მნიშვნელოვანია ნატოს, ევროკავშირისა და მთელი ევროპის უსაფრთხოებისათვის. („President Iohannis: Romania's relation with Germany not only strategic, but privileged,” 2017)

რუმინეთის პრეზიდენტი საკმაოდ ხშირად ამახვილებს ყურადღებას შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების და სტაბილურობის მნიშვნელობაზე და ამ კუთხით პარტნიორებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობაზე. („President Klaus Iohannis: We want Black Sea area to remain stable and predictable space,” 2017)

2017 წლის მაისში ბრიუსელში გამართულ ნატოს სამიტზე რუმინეთი შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე ყურადღების გამახვილების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო. („Iohannis: Romania achieves objectives at NATO summit in Brussels,” 2017) რუმინეთის პრეზიდენტმა არაერთხელ გააუღერა, რომ შავი ზღვის რეგიონს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ის დიდ როლს თამაშობს ევროპის უსაფრთხოებისათვის. („President Iohannis: Black Sea is strategically important point,” 2017)

2017ოქტომბერში რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თეოდორ მელესკანუს მიერ მიცემულ ინტერვიუში ხაზგასმულია, რომ რუმინეთისათვის შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სწორედ რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, რის შედეგადაც დაირღვა ძალთა ბალანსი რეგიონში. ხოლო ამ

ტერიტორიაზე რუსეთის გაძლიერება პირდაპირ აისახება ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებზეც. („ForMin Melescanu: After Crimea's illegal annexation, we have seen an accumulation of forces at the Black Sea,” 2017)

2016 წლის ივნისში ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს შეკრებაზე პრეზიდენტმა იოჰანესმა სწორედ ყირიმის ანექსიის კონტექსტში გაახმოვანა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხი და აღნიშნა, რომ ამ თემას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. („President Iohannis: I expect substantial proposals from NATO for consolidating presence in Black Sea,” 2017) მსგავსი ინიციატივა გააუღერა პრეზიდენტმა 2017 წლის ნატოს-ს საპარლამენტო ასამბლეაზეც. („NATO PA / Iohannis: Advanced presence on Eastern Flank must be reinforced, especially in Black Sea,” 2017)

პრეზიდენტმა იოჰანესმა რუმინეთს უწოდა რეგიონში სტაბილურობის სვეტი და უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი. მისი თქმით, რუმინეთს დიდი წვლილი შეაქვს იმისათვის, რომ ნატო-მ და ევროკავშირმა შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა გააცნობიეროს. („President: Romania is security provider in uncertain region,” 2017)

გასათვალისწინებელია, რომ რუმინეთის როლი შავი ზღვის რეგიონულ უსაფრთხოებაში ხშირად არის ხაზგასმული ნატო-ს და ევროკავშირის მხრიდანაც, რასაც მოწმობს ნატო-ს შავი ზღვის ძალების განთავსება რუმინეთის სანაპიროზე და 2016 წლის ოქტომბერში მოგერინის განცხადება, რომ რუმინეთი თამაშობს განსაკუთრებულ როლს შავი ზღვის სივრცეში, რომელიც მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს ევროკავშირისათვის. („Mogherini: We'll remain focused on promoting peace, stability and security,” 2017)

შეიძლება ითქვას, რომ რუმინეთი შავი ზღვის რეგიონში არსებული მდგომარეობის სეკურიტიზაციას ყველაზე აქტიურად ცდილობს მის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებული დისკურსის საშუალებით სხვადასხვა ფორმატებში. თუმცა რუმინეთისათვის შავი ზღვის

უსაფრთხოების მნიშვნელობა მხოლოდ „საუბრის აქტით“ არ შემოიფარგლება. ის ნატო-ს მრავალეროვანი შენაერთების შავი ზღვის აუზში განთავსებისა და ზოგადად, რეგიონში ალიანსის სამხედრო წარმომადგენლობის ზრდის ერთ-ერთი მთავარი მხარდაჭერი და ტრადიციულად, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა წინადადების ინიციატორია.

### **ბულგარეთი**

ბულგარეთის ხედვა რეგიონისადმი და მისი პერსპექტივა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხების შესახებ სრულიად განსხვავდება მეზობელი რუმინეთისაგან.

შეიძლება ითქვას, რომ შავ ზღვაში არსებული ვითარების სეკურიტიზაციის სურვილი ყველაზე ნაკლებად სწორედ ბულგარეთს აქვს, რადგან ბულგარეთისათვის პოლიტიკური და კულტურული იდენტობის გათვალისწინებით განსაკუთრებით რთულია შავ ზღვაში 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური რეალობით ჩამოყალიბებული დიქტომიის (რუსეთისა და „დასავლეთის“ (ნატო-ს) დაპირისპირება) რომელიმე პოლუსთან მკვეთრი სიახლოვის დაფიქსირება. აღსანიშნავია, რომ შავ ზღვაში წარმოდგენილი პოლარიზაცია ბულგარეთის შიდა პოლიტიკაშიც აირეკლება. ამიტომ, შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებით სენსიტიურია ბულგარეთისათვის და შიდა პოლიტიკური ძალების დაპირისპირების კიდევ ერთ საგანს წარმოადგენს.

ბულგარეთი ყველაზე მეტად არის დაინტერესებული რუსეთსა და ნატო-ს შორის პოლიტიკური დიალოგის განვითარებით. ბულგარეთის მიერ შავი ზღვის მიმართ ნატო-ს ხედვის გაზიარებას აფარხებს ალიანსისადმი დადებითი განწყობების შემცირება მოსახლეობაში, რასაც იყენებენ პოლიტიკოსები მხარდაჭერის მოპოვებისათვის. შესაბამისად, სოციალისტი პრემიერ-მინისტი მხარს უჭერს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მოხსნას, ხოლო მემარჯვენე პრემიერ-მინისტი ეწინააღმდეგება ნატო-ს ინიციატივას

შავი ზღვის ფლოტის ჩამოყალიბების შესახებ. რჩება შთაბეჭდილება, რომ ბულგარეთს ორ ნაფე ერთდროულად ყოფნა სურს. (Naumescu, 2017, pp.199-205)

შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მიმართ ბულგარეთის დამოკიდებულებაზე ყველაზე მეტად მოქმედებს შიდა დინამიკა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას რუსეთთან ისტორიული და პოლიტიკური კავშირები აქვს, ნატო-ს ინიციატივების მიერ სკეპტიკური დამოკიდებულება ხშირად მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით გამოიყენება პოლიტიკოსების მხრიდან. ამის ერთ-ერთი მაგალითია ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბორისოვი, რომელმაც შეიცვალა საკუთარი პოზიცია 2017 წლის საარჩევნო კამპანიის დროს და ხაზი გაუსვა, რომ დაიცავს ბულგარეთის ეროვნულ ინტერესებს და ამიტომ არ დაუჭერს მხარს ნატო-ს ფლოტის შექმნას შავ ზღვაში. (Cheresheva, 2017, pp. 199)

ბულგარეთმა, თავდაპირველად, (2016 წელს) უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ნატო-ს ინიციატივაში შავი ზღვის ძალების ჩამოყალიბების შესახებ. პრემიერ მინისტრის ბორისოვის განცხადებით ბულგარეთს სურს შავ ზღვაში იხილოს იახტები, ტურისტები, მშვიდობა და არა საბრძოლო გემები. (Gotev, 2016) შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში ბულგარეთი ცდილობდა არ დაეშვა შავი ზღვის რეგიონში არსებული ვითარების სეკურიტიზაცია და შესაბამისად, მისი გამოჩენა ეროვნული დღის წესრიგში.

მიუხედავად ამისა, ერთი თვის შემდეგ, ვარშის სამიტზე, ბულგარეთი მიესალმა ნატო-ს წარმომადგენლობის ზრდას შავი ზღვის რეგიონში. (Kraev, 2016)

2016 წელს ნატო-ს ვარშის სამიტის მიმდინარეობისას ბულგარეთის პოზიციის გარშემო არსებული გაურკვევლობის გასაფანტავად პრეზიდენტმა როსენ პლევნელიევმა განაცხადა, რომ ბულგარეთს აქვს კარგად ჩამოყალიბებული ხედვა შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებით და მხარს უჭერს ნატო-ს როლის ზრდას როგორც

რეგიონის, ასევე თითოეული წევრის უსაფრთხოებაში. („Bulgaria has clear and coordinated position on security in Black Sea region,“ 2016)

აღსანიშნავია, რომ ბულგარეთი შავი ზღვის რეგიონის დღის წესრიგში გამოჩენის მხარდამჭერი უფრო მეტად ევროკავშირის ფორმატშია. 2018-2019 წელს მისი ევროპული საბჭოს პრეზიდენტობის პერიოდში ბულგარეთის პროგრამა ითვალისწინებს შავი ზღვის რეგიონის მაკრო-რეგიონულ რეგიონად განხილვას. ბულგარეთი ცნობს შავი ზღვის რეგიონის არსებობასა და მის მნიშვნელობას, თუმცა ერიდება ვითარების განსაკუთრებულ სეკურიტიზაციას, რადგან მილიტარიზებული შავი ზღვა არ შედის მის ინტერესებში და ამავდროულად, ამ პროცესმა შესაძლოა რთული საგარეო პოლიტიკური არჩევნის წინაშეც დააყენოს.

ბულგარეთის შედარებით სუსტ პოზიციას და ხედვას შავი ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთხოების პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზებთან დაკავშირებით დიდწილად განაპირობებს აღნიშნული საკითხის სენსიტიურობა ეროვნულ დონეზე. ბულგარეთის კონკრეტული პარტიის პრო-ევროპელობისა და პრო-რუსულობის ლაკმუსის ქაღალდს ხშირად წარმოადგენს სწორედ მისი მხარდაჭერა შავი ზღვის რეგიონში ნატო-ს წარმომადგენლობის გაძლიერების მიმართ. (Maisel & DuVal, 2017)

### **საქართველო**

შავი ზღვა საქართველოსთვის ერთადერთი შეხების წერტილია ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან, რომელში ინტეგრაციაც საქართველოს ურყევევი, დეკლარირებული საგარეო პოლიტიკური კურსია.

ამასთანავე, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება განსაკუთრებით სენსიტიურად აისახება საქართველოს სავაჭრო, სატრანზიტო და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. მას შემდეგ, რაც საქართველომ გამოთქვა სურვილი ჩაერთოს აბრეშუმის გზის პროექტში და ერთგვარ „სატრანზიტო ჰაბად“ იქცეს, შავი ზღვის უსაფრთხოებამ კიდევ უფრო დიდი პრიორიტეტულობა შეიძინა ქვეყნისათვის.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს დისკურსში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ნატო-ში ინტეგრაციისა და ალიანსთან ურთიერთობების გაღრმავების კონტექსტში.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის უსაფრთხოება ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხია საქართველოსა და ნატოს უმაღლესი დონის წარმომადგენლების შეხვედრების ფორმატში. 2016 წლის დეკემბერში ნატოს გენერალური მდივანს იენს სტოლტენბერგსა და საქართველოს პრემიერ მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს შორის გამართულ შეხვედრაზე ნატო-ს შტაბ-ბინაში ორივე მხარემ ხაზი გაუსვა თანამშრომლობის მნიშვნელობას შავი ზღვის რეგიონში არსებულ გამოწვევებთან გამკლავების კონტექსტში. კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო, როგორც ასპირანტი ქვეყანა, მზადაა ჩაერთოს ალიანსის მცდელობებში შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით. (საქართველოს მთავრობა, 2016)

ასევე 2017 წლის თებერვალში ნატო-ს შტაბ-ბინაში გამართულ შეხვედრაზე, სადაც საქართველოს 2016 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შესრულება განიხილეს, მეორე საკითხი სწორედ



შავი ზღვის უსაფრთხოების თემა იყო. საქართველოს ხელისუფლებამ გამოთქვა სრულული მზაობა, რომ შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ დისკუსიაში აქტიურად ჩაებას და კონკრეტული წინადადებები შესთავაზოს პარტნიორებს. („ვიქტორ დოლიძე - საქართველო მზად არის, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხზე ალიანსს კონკრეტული წინადადებები შესთავაზოს,“ 2017)

2018 წლის იანვარში გენერალური შტაბების უფროსების დონეზე ნატოს სამხედრო კომიტეტი სხდომაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს წარმომადგენელმა, სდაც ერთ-ერთ მთავარ განსახილველ თემას წარმოადგენდა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცება. (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2018)

2016 წლის იენს სტოლტენბერგის საქართველოში ვიზიტისას გიორგი მარგველაშვილთან გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა ალიანსთან საქართველოს თანამშრომლობის თემაზე - შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხზე - გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ შავი ზღვის რეგიონის მომავალი უშუალოდაა დაკავშირებული ერთიანი და მთლიანი ევროპის კეთილდღეობასთან. ხოლო, საქართველოსა და მისი პარტნიორების საერთო ამოცანაა ერთობლივად უზრუნველყონ შავი ზღვის უსაფრთხოება და აქციონ ის ევროპული თანამშრომლობის სივრცედ. (საქართველოს პრეზიდენტი, 2016)

ხოლო 2017 წლის თებერვალში ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში იენს სტოლტენბერგის განცხადებით დიდი ყურადღება დაეთმო შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების საკითხს, რეგიონში

არსებულ გამოწვევებსა და ამ კონტექსტში მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას (NATO, 2017).

2014 წლის შემდეგ ნატო-საქართველოს ურთიერთობების განვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება ამ დინამიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში საქართველო მუდმივად ცდილობს ხაზი გაუსვას საკუთარ მნიშვნელობას ევრო-ატლანტიკური სივრცისა და გლობალური უსაფრთხოებისათვის. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაც. 2017 წლის აპრილში პრეზიდენტმა მარგველაშვილმა თბილისში ჩატარებულ ნატოს კვირეულზე აღნიშნა, რომ „შავი ზღვის უსაფრთხოება და დაცულობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ნატო-ს წევრი ქვეყნებისთვის, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ გლობალურად რეგიონისთვის, იმისათვის, რომ რეგიონული თანამშრომლობა - თანამშრომლობა აზიასა და ევროპას შორის იყოს უსაფრთხო და პერსპექტიული.“ მან ასევე ხაზი გაუსვა საქართველოსა და ნატო-ს შორის შავი ზღვის ფარგლებში თანამშრომლობის ფორმატის მნიშვნელობას.

ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას - ალიანსმა გააძლიეროს შავ ზღვაში წარმომადგენლობა - საქართველო მაშინვე გამოეხმაურა. მას შემდეგ კი აქტიურად ცდილობს საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს ნატო-ს ახალ ინიციატივაში და აქტიურად ჩაერთოს აღნიშნულ საკითხზე გამართულ დისკუსიებში.

2016 წლის ვარშავის სამიტის ფარგლებში თინა ხიდაშელის განცხადებით, საქართველოს მთავარი ამოცანაა, შავი ზღვის ახალი უსაფრთხოების ფორმატში იყოს ჩართული. („თინა ხიდაშელი: მთავარი ამოცანაა, საქართველო შავი ზღვის ახალი უსაფრთხოების ფორმატში იყოს ჩართული,“ 2016) ხოლო, ნატო-ში საქართველოს ელჩმა, ალექსანდრე მაისურაძემ, აღნიშნა, რომ საქართველო არის შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფო და შავი ზღვის უსაფრთხოება საქართველოს უსაფრთხოების გარეშე წარმოუდგენენელია. 2016 წელს ნატო-ს მინისტრიალზე შავი ზღვის რეგიონში ალიანსის წარმომადგენლობის გაზრდის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საპასუხოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მიხეილ ჯანელიძემ, განაცხადა, რომ საქართველო, როგორც NATO-ს ასპირანტი ქვეყანა, მხარს უჭერს ალიანსის ძალისხმევას, რომელიც მიმართულია საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოების გასაძლიერებლად. მისი თქმით შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება არის ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი და მნიშვნელოვანია, რომ ალიანსმა დაიწყო შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. ასევე, ხაზი გაუსვა, რომ საქართველო, საკუთარი ფორმატების ფარგლებში, მონაწილეობს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ალიანსის დისკუსიებში. მისი თამით, საქართველო მზად არის, განაგრძოს საკუთარი წვლილის შეტანა ევროატლანტიკური სივრცისა და მისი განუყოფელი ნაწილის, შავი

ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებაში. (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2016)

2016 წელს თავდაცვის მინისტრმა ხიდაშელმა განაცხადა, რომ საქართველო მზად არის ნატოს ყველა უსაფრთხოების პროექტს შეუერთდეს შავ ზღვაზე, რადგან ჩვენც ამ რეგიონის ნაწილი ვართ. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ საქართველო მკათიოდ აფიქსირებს თავის პოზიციას - არ არსებობს შავი ზღვის უსაფრთხოება საქართველოს გარეშე. მინისტრის თქმით, როდესაც შავ ზღვაზე ბალანსის ცვლილებაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ რუმინეთი და ბულგარეთი არ წარმოადგენენ სამიზნეებს. ამ რეგიონში მთავარი სამიზნეები საქართველო და უკრაინა არიან. („თინა ხიდაშელი: შავი ზღვის უსაფრთხოება საქართველოს გარეშე არ არსებობს,“ 2016) ასევე, მომდევნო მინისტრის, ლევან იზორიას განცხადებით, საქართველო მზად არის წვლილი შეიტანოს შავი ზღვის უსაფრთხოებაზე ნატო-ს ახლებური ხედვის განხორციელებაში. (კაკულია, 2017)

თუმცა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მნიშვნელობა საქართველოსათვის მხოლოდ საგარეო პოლიტიკური შესაძლებლობებით არ შემოიფარგლება და მას რეალური გავლენა აქვს უსაფრთხოების გარემოზე. ქვეყნისათვის შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხის განსაკუთრებულ აქტუალურობაზე მეტყველებს 2017 წლის მარტში ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხის განხილვა. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა

პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. („უშიპროების საბჭოს სხდომაზე შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების საკითხი განიხილეს,“ 2017)

2017 წლის ოქტომბერში ბათუმში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალზე საქართველოს პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველო მზად არის წვლილი შეიტანოს შავ ზღვაზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში. („პრემიერი: მზად ვართ ჩვენი წვლილი შევიტანოთ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებაში,“ 2017)

თუმცა, საქართველოს მცდელობა საკუთარი თავი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სიტემის განუყოფელ ნაწილად წარმოაჩინოს მხოლოდ ცალმხრივი რიტორიკა არ არის და შეიძლება ითქვას, რომ წახალისებულია თავად ალიანსის მხრიდან. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ნატო-ს სამხედრო კომიტეტის საქართველოში გამართულ სესიაზე აღინიშნა: საქართველო შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხში იქნება არა მხოლოდ მონაწილე, არამედ უსაფრთხოების უზრუნველმყოფი. („გენერალი პეტრ პაველი - საქართველო შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება,“ 2017)

ხოლო, 2016 წლის 8 ივნისს ნატო-საქართველოს კომისიის ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მეტი ყურადღება უნდა მიეპყროს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას და ასევე ხაზგასმულია, რომ მოკავშირე მინისტრები მიესალმებიან საქართველოს ჩართულობას სტრატეგიულ დისკუსიაში შავი ზღვის უსაფრთხოებასა და რეგიონში იმ ბოლოდროინდელ განვითარებებთან დაკავშირებით,

რომლებიც გავლენას ახდენს ევრო-ატლანტიკურ უსაფრთხოებაზე.  
(საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2016)

შესაბამისად, საქართველოსათვის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ნაწილად ქცევა გულისხმობს საქართველოს მიერ პოსტ-საბჭოთა სივრცესა და რუსეთის გავლენის სფეროს მიკუთვნებულობისაგან თავის დაღწევას, რაც მნიშვნელოვანია როგორც უსაფრთხოების კუთხით ასევე ეროვნული და საგარეო პოლიტიკური იდენტობის თვალსაზრისით. ეს დისკურსი კარგად ჩანს პრემიერ-მინისტრის სიტყვაში. 2016 წლის ივნისში თბილისში გამართულ ამბასადლორიალზე დიპლომატიური კორპუსისადმი წარმოთქმულ სიტყვაში პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ ნატო-ს მხრიდან ძალისხმევის გაზრდა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მიმართულებით ნიშნავს, რომ იხსნება ახალი შესაძლებლობები, საქართველო ჩამოყალიბდეს უსაფრთხოების უფრო ფართო რეგიონის ნაწილად - რეგიონისა, რომლის სახელმწიფოთა ნაწილიც ნატოსა და ევროკავშირის წევრები არიან.  
(საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2016)

საქართველოს დიკურსში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გამოჩენაზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება ნახსენებია ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკისათვის მნიშვნელოვან დოკუმენტებში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2014 წელს შემუშავებულ ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში, რეგიონულ დონეზე გამოყოფილია

შავი ზღვის რეგიონი და კავკასია. დოკუმენტში ნათქვამია, რომ რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, საქართველო წარმართავს აქტიურ სამეზობლო პოლიტიკას და დაინტერესებულია გააღრმავოს არსებული თანამშრომლობა კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან, განსაკუთრებით, ნატოს წევრი ქვეყნებისა და სხვა მეგობარ სახელმწიფოებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2014)

ასევე თავდაცვის სამინისტროს მიერ შედგენილ თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში საქართველოს უსაფრთხოების გარემოს რეგიონულ დონეში კვლავ გამოყოფილია შავი ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთხოების კომპლექსური და არამდგრადი ვითარება, ყირიმის ანექსია და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული პროცესები, რაც მოაზრებულია, ერთ-ერთი მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც მთლიანად რეგიონის, ისე საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე და მდგრად განვითარებაზე. (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2017, გვ.10)

საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში 2015-2018 წლებისათვის რეგიონულ განზომილებაში გამოყოფილია მხოლოდ შავი ზღვის რეგიონი, როგორც ერთადერთი რეგიონული სივრცე, რომელიც ნაწილადაც საქართველო თავს აღიქვამს, რაც განსაკუთრებით უსვამს ხაზს შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობას ქვეყნისათვის. (საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2015)

ხოლო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, ერთ-ერთ პრიორიტეტულ სახელმწიფო ინტერესად

გამოყოფილია რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა და აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე უშუალო გავლენას ახდენს ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში მიმდინარე პროცესები. დოკუმენტის თანახმად რეგიონებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება და არსებული უთანხმოებების მშვიდობიანი მოგვარება საქართველოს ინტერესია. მრავალმხრივ და ორმხრივ ფორმატებში საერთაშორისო თანამშრომლობით ქვეყანას საკუთარი წვლილი შეაქვს რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცებაში. (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო)

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, შავ ზღვას საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების გათვალისწინებით ნებისმიერი ფორმით შავი ზღვის რეგიონთან მიკუთვნებულობა საქართველოს დასავლური ამბიციების განხორციელების შესაძლებლობა და ხელსაყრელი ფორმატია. ამავდროულად, თურქეთისა და რუსეთის მონოპოლიის გათვალისწინებით რეგიონში, შავი ზღვა საქართველოსთვის საფრთხის წყარო უფრო იყო, ვიდრე კომუნიკაციის საშუალება.

თუმცა, მას შემდეგ, რაც ნატო-ს ფარგლებში განსაკუთრებით გააქტიურდა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხის განხილვა, ამ რეგიონის უსაფრთხოებამ მყარად მოიკიდა ფეხი როგორც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგში, ასავე საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხადაც იქცა და შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ცდილობს უსაფრთხოების ჭრილში სწორედ ამ რეგიონის ფარგლებში მოიაზრებოდეს



საერთაშორისო ასპარეზზე, რაც შესაძლებლობას მისცემს კიდევ უფრო გაუსვას ხაზი საკუთარ მნიშვნელობას ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებისათვის.

## **უკრაინა**

უკრაინისათვის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება, მათ შორის, საზღვაო უსაფრთხოება, პირდაპირ არის დაკავშირებული მის ეროვნულ უსაფრთხოებასთან და ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ყირიმის ანექსიის შემდეგ. უკრაინის შემთხვევაში შავი ზღვის უსაფრთხოების დისკურსთან დაკავშირებით 2 მიმართულება გამოიკვეთება: პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული ყირიმის ანექსია ხშირად განიხილება სწორედ შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში (ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტთან ერთად). ასევე შავი ზღვის უსაფრთხოება ხშირად მოიაზრება ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციის, ზოგადად, პრო-დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის ფარგლებში. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ უკრაინულ პოლიტიკურ დისკურსში ერთ-ერთი, რაც ყველაზე ძლიერადაა წარმოდგენილი სწორედ საგარეო პოლიტიკური იდენტობის ნაწილში შავი ზღვის რეგიონთან მიკუთვნებულობა და ამავდროულად, შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოებაა, რომელიც დაკავშირებულია ევროპული უსაფრთხოების სისტემასთან.

უკრაინამ, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთმა მთავარმა რეგიონულმა აქტორმა ჯერ კიდევ 2008 წლის ომის შემდეგ დაიწყო საუბარი და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გასაძლიერებლად, რაც მოაზრებული იყო რეგიონში

„ევროპული უსაფრთხოების სივრცის“ შექმნად. მაგალითისათვის, 2010 წელს „ხარკოვის შეთანხმების“ გაფორმების შემდეგ, რომელიც გულისხმობდა უკრაინული შავი ზღვის ფლოტის გაძლიერებას ყირიმში, უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ აღნიშნული ინიციატივა დაკავშირებულია „ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების სიტემის“ შექმნასთან. (Glebov, 2013, p.99)

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ასპარეზზე უკრაინის მნიშვნელობასა და მის როლზე ხშირად ხდება ხაზგასმა სწორედ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით (აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთება ნატო-ს ფარგლებში). უკრაინის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო ფორმატებსა და რეგიონულ ურთიერთობებში სწორედ შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების წინ წამოწევა. მაგალითისათვის, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე უკრაინის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელმა 2017 წელს განაცხადა, რომ უკრაინისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას შავი ზღვის რეგიონში. ხოლო, მისი თქმით, შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს, რომელსაც სურს რომ შეცვალოს ძალთა ბალანსი შავი ზღვის რეგიონის აუზში. ამ კონტექსტში, მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი უკრაინის მნიშვნელობას მეკვებშირეებისათვის. („Frise declared Ukraine's key role in the security issue in the Black Sea region,“ 2017)

ჯერ კიდევ 2015 წლის მარტში პოროშენკომ განაცხადა, რომ რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმი სამხედრო ჰაბს წარმოადგენს, რადგან იქ

განთავსებულია ჭურვები ბირთვული იარაღისათვის. უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ არსებული ვითარება საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ უკრაინის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის, არამედ შავი ზღვის რეგიონში წარმოშობს ფართომასშტაბიანი კონფლიქტის საფრთხეს. („Exclusive: We talk of values, Russia of money, says Ukraine president,“ 2015)

ყირიმის ანექსიის, და ზოგადად, უკრაინის მიმართ რუსეთის აგრესიის შავი ზღვის რეგიონულ უსაფრთხოებასთან დაკავშირება, ამ კონტექსტში კი უკრაინის მნიშვნელობის ხაზგასმა, საკმაოდ აქტუალურ ტენდენციას წარმოადგენს უკრაინისათვის როგორც ნატო-სთან ასევე, რეგიონულ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში.

პოროშენკოს თურქეთში ვიზიტისას 2016 წლის მარტში უკრაინისა და თურქეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე ერთ-ერთ მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება. ერდოღანმა აღნიშნა, რომ უკრაინის პოლიტიკური სტაბილურობა არის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტი. (President of Ukraine, 2016) ასევე, ორ პრეზიდენტს შორის შეხვედრაზე უკრაინულმა მხარემ დააფიქსირა, რომ შავი ზღვის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ორივე სახელმწიფოს საერთო პასუხისმგებლობაა. (Poroshenko looks to Turkey for help in Black Sea, 2017)

2017 წლის მაისში უკრაინის პრეზიდენტმა თურქეთში სტუმრობისას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ყირიმის ანექსია წარმოადგენს გამომწვევას მთლიანად შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისათვის.

(Poroshenko: Russia's aggression against Ukraine challenge for whole Black Sea region, 2017)

საყურადღებოა, რომ 2017 წელს ნატო-უკრაინის ქართის 20 წლისთავის აღსანიშნავად უკრაინის პარლამენტში - უმაღლეს რადაში - ნატოს-საპარლემენტო ასამბლეასთან თანამშრომლობით გაიმართა 3 დღიანი ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა თემას - „უსაფრთხოება და სტაბილურობა უკრაინასა და შავი ზღვის რეგიონში“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო უკრაინის პრეზიდენტმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებმა, ასევე ნატო-ს მხრიდან ღონისძიებაში მონაწილეობდა ალიანსის გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდერ ვერშბოუ. რა თქმა უნდა, ეს ღონისძიება კიდევ ერთი დასტურია უკრაინის უმაღლეს პოლიტიკურ დისკურსში შავი ზღვის რეგიონის აქტუალობისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის. (NATO Parliamentary Assembly, 2017)

ამასთანავე, უკრაინის დისკურსში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების პრო-დასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს უკრაინის პოზიცია ნატოს ინიციატივის შესახებ, რაც გულისხმობს შავი ზღვის აუზში ფლოტის განვითარებასა და ალიანსის ახალი ძალების შექმნას. ინიციატივის გაუღწერებისთანავე უკრაინამ გამოხატა მის მიმართ მხარდაჭერა. პრეზიდენტმა არაერთხელ აღნიშნა, რომ შავი ზღვის აუზში ალიანსის წარმომადგენლობის გაძლიერება დადებითად აისახება რეგიონის უსაფრთხოებაზე. რუმინელ კოლეგასთან შეხვედრისას უკრაინის პრეზიდენტმა ინიციატივის მხარდაჭერასთან ერთად ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საერთო ზომების მიღება

რუსეთისაგან მომავალ აგრესიასთან გამკლავებისათვის. („Poroshenko: “Ukraine ready to join development of Black Sea flotilla under NATO guidance,” 2016)

#### **1.4 შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება სანაპირო სახელმწიფოების ორმხრივი**

##### **ურთიერთობების დისკურსში**

საყურადღებოა, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები შავი ზღვის აუზის სახელმწიფოების ორმხრივ ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად იქცა.

გარდა იმისა, რომ შავი ზღვის უსაფრთხოება ხშირად განიხილება ნატო-ს კონტექსტში, ის ამავდროულად დადებით როლს თამაშობს სანაპირო სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაშიც (ცხადია, რუსეთის გამოკლებით).

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი ტრადიციულად განსაკუთრებულად აქტუალურია რუმინეთისათვის.

2015 წელს თურქეთისა და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე რეგიონული და პოლიტიკური დღის წესრიგის განხილვისას ყურადღება გამახვილდა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე და ნატო-ს მნიშვნელობაზე რეგიონში ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. (Ministry of Foreign Affairs of Romania, 2015)

საქართველო-რუმინეთის ორმხრივ ურთიერთობებში შავი ზღვის რეგიონულ უსაფრთხოებას დიდი ადგილი უჭირავს. 2017 წლის

ნოემბერში რუმინეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მრგვალი მაგიდის დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობისა და უსაფრთხოების საკითხებს ეხებოდა. (საქართველოს პარლამენტი, 2017) ხოლო 2017 წლის აპრილში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძესა და რუმინელ კოლეგას ტეოდორ მელესკანუს შორის გამართულ შეხვედრაზე ერთ-ერთ მთავარ განსახილველ თემას წარმოადგენდა შავი ზღვის უსაფრთხოება. (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2017) ამასთანავე, საქართველოს პრემიერ მინისტრის ბუქარესტში ვიზიტისას და რუმინელ კოლეგასთან სორინ გრინდენაუსთან შეხვედრისას ასევე ყურადღება გამახვილდა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე. რუმინეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს უსაფრთხოება და კეთილდღეობა მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობისათვის. („PM Grindeanu: Georgia will continue to be a friend and partner country of Romania; we'll develop cooperation,” 2017)

2017 წლის ივნისში ბულგარეთისა და რუმინეთის პრეზიდენტებს შორის გამართულ შეხვედრაზე ერთ-ერთ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა სწორედ შავი ზღვის რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევები. (“President Iohannis to welcome Bulgarian counterpart Wednesday to discuss cooperation in EU,” 2017)

ასევე, საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ორმხრივ პოლიტიკურ კონსულტაციებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შავი ზღვის

უსაფრთხოების საკითხს. (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2017)

2017 წელს თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანისა და უკრაინის პრეზიდენტის პოროშენკოს შეხვედრისას ერდოღანის განცხადებით ისაუბრეს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებზე და ამ კონტექსტში თურქეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თურქეთი არ ცნობს ყირიმის არალეგალურ ანექსიას. („Turkey does not recognize annexation of Crimea – Erdogan,” 2017)

#### 1.4 შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება რეგიონული ძალების (რუსეთისა და თურქეთის) დისკურსში

### 1.1 რეგიონული და გლობალური ძალის კონცეფციების მოკლე მომხილვა

ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში (2000 წ.დან) რუსეთის მთავარ საგარეო პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს მრავალპოლარულ სამყაროში ძალის ერთ-ერთ ცენტრად ჩამოყალიბება. რუსეთის პრეზიდენტი ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას არსებული მსოფლიო წესრიგით. მაგალითად, 2007 წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე პუტინმა გააკრიტიკა უნიპოლარული მსოფლიო წესრიგი.

შესაბამისად, რუსეთის მთავარ მიზანს წარმოადგენს კონტინენტურ ევროპაში ნატოს მონოპოლიის დასრულება, როგორც უსაფრთხოების გარემოს მთავარი შემოქმედის, ასევე, ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოების აღკვეთა. (Weber, 2017)

რუსეთის რევიზიონისტული პოლიტიკის გამოხატულება არის მის მიერ აგრესიის გამოვლენა შავი ზღვის რეგიონში, როგორც საქართველოს,

ასევე უკრაინის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ.

რუსეთის პოლიტიკა შავ ზღვაში განისაზღვრება სწორედ „ძლიერი სახელმწიფოს“ იდენტობით (“ველიკაია ძერჟავას“ გენომენი პეტრე პირველის პერიოდიდან იღებს სათავეს). გარდა ამისა, სწორედ ამ კონტექსტში უნდა მოვიაზროთ რუსეთის ეროვნული საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც 2015 წლით თარიღდება და მიზნად ისახავს რუსეთის მრავალრეგიონულ საზღვაო ძალად ჩამოყალიბებას. (Bugajski & Doran, 2016, p.10)

თურქეთს ბევრი მკვლევარი მიიჩნევს სწრაფად მზარდ რეგიონულ ძალად (rapidly emerging regional power). ფრიდმანის აზრით თურქეთი ძირითადად ფოკუსირებულია ახლო აღმოსავლეთზე, თუმცა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძალის პროექციას გარშემო არსებულ ყველა რეგიონზე ახდენს. ფრიდმანს მიაჩნია, რომ თურქეთს აქვს საკმარისი სტრატეგიული ძალა, რაც ახალი რეგიონული ძალის აღმოცენების მანიშნებელია. ამასთანავე, მას აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი ეროვნული ინტერესები მეზობელ რეგიონებში, რაც ხშირად არ ემთხვევა აშშ-ს და ნატო-ს ინტერესებს. (Friedman, 2007). თურქეთი ხშირად განიხილება რეგიონულ ძალად სხვადასხვა ავტორების მიერ, რადგან ის გამოხატავს გაცხადებულ პრეტენზიას ლიდერობაზე, აქვს შესაბამისი ძალის რესურსები, აქტიური და ემედიოთი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტები და მეტ-ნაკლებად სხვების მიერ აღიარებული ლიდერის სტატუსი (Flemes, 2007, p. 10).



აჰმედ დავეუთოლლუს<sup>1</sup>ნაშრომი „Turkey`s Foreign Policy Vision: An Assessment of 2007“ საუკეთესოდ გამოხატავს, რომ თურქეთის პოლიტიკაში რეგიონული დონე მნიშვნელოვანია და საკუთარ თავის რეგიონულ მოთამაშედ აღიქვამს. ავტორის აზრით ის „ცენტრალური სახელმწიფოა სხვადასხვა რეგიონული იდენტობებით“ (Davutoglu 2008, 77) დავეუთოლლუს მიაჩნია, რომ თურქეთის პასუხისმგებლობა იყოს რეგიონული წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების გარანტი მის სამეზობლოში (Davutoglu 2008, 83). საყურადღებოა, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტები აჰმედ დავეუთოლლუს მიერ ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკის 5 პრინციპის მიხედვით. მათ შორის აღსანიშნავია „ნელოვანი პრობლემების პოლიტიკა“ და „რითმული დიპლომატია“, რაც ამ სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს მის მეზობელ რეგიონებში. (Davutoglu, 2008)

## 1.2 მონტროს კონვენცია

მონტროს კონვენცია წარმოადგენს სამართლებრივ რეჟიმს თურქეთის სრუტეებისათვის, რომელიც 1936 წლიდან მოქმედებს. შეიქმნა ითქვას, რომ ის არის საფუძველი იმ პოლიტიკური და სამხედრო ბალანსისა, რომელიც დაცული იყო შავი ზღვის რეგიონში ცივი ომის მანძილზე. ამ კონვენციას თურქეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის აღიარებს თურქეთის უფლებებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლზე და აკისრებს პასუხისმგებლობას მათ უსაფრთხოებაზე. მონტროს კონვენციის თანახმად სავაჭრო და სამეზობლო გემების თავისუფალი გადაავილება შავ ზღვაში

---

<sup>1</sup> 2009-2014 წლებში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, 2014 –2016 წლებში პრემიერ მინისტრი და მმართველი პარტიის - „სამართლიანობა და განვითარება“ ლიდერი

ნებადართულია. თუმცა, ის ზღუდავს იმ სამხედრო გემების ყოფნას ზღვაში, რომლებიც შავი ზღვის აუზის რომელიმე სახელმწიფოს არ ეკუთვნის. შავი ზღვის აუზის გარეთ მყოფი სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავი გემის შავ ზღვაში დარჩენის მაქსიმალური დრო 21 დღეა.

მონტროს კონვენციის დაცვა ცივი ომის პერიოდში ყველა აქტორის ინტერესებში იყო. ნატო მიესალმებოდა ამ კონვენციაზე დაფუძნებულ ბალანსს, რადგან ეს ზღუდავდა სსრკ-ს ფლოტის ხმელთაშუა ზღვაში სწრაფად გადაადგილების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, კი შავი ზღვა ჩაკეტილ ზღვად რჩებოდა საბჭოთა ინტერესების შესაბამისად. ხოლო, თურქეთისათვის მონტროს კონვენციას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სრუტეების კონტროლი თურქეთის სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი ძვირფასი მონაპოვარია, რომელიც სწორედ ამ კონვენციით არის განპირობებული. (Aydin, 2012, p.54)

მიუხედავად ამისა, ცივი ომის დასრულების შემდეგ შეცვლილმა რეალობამ, ტერორიზმის საფრთხემ და ნატოს გაფართოებამ (ალიანსს შეუერთდა რუმინეთი და ბულგარეთი) დღის წესრიგში დააყენა მონტროს კონვენციის გადახედვის საკითხი, ეს წინადადება აბსოლუტურად მიუღებელია თურქეთისათვისა და რუსეთისთვის, რადგან ორივე მათგანის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ვერც 11 სექტემბრის შემდეგ შექმნილმა ახალმა რეალობამ მოახდინა გავლენა თურქეთის პოზიციაზე. მიუხედავად ანტი-ტერორისტულ ოპერაციებში აქტიური მონაწილეობისა 2006 წლის იანვარში, ის შეეწინააღმდეგა Operation Active Endeavour (OAE)-ს ფარგლებში

ნატოს მოქმედებას შავ ზღვის აუზში და საკუთარი პოზიცია მონტროს კონვენციის დაცვის მოტივით ახსნა (Aydin, 2012, p.54).

ასევე, 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის დროს თურქეთმა არ დაუშვა მონტროს კონვენციის დარღვევა და უარი განაცხადა საქართველოს დასახმარებლად გაგზავნილ აშშ-ს გემების მიღებაზე შავ ზღვაში, რომლებიც აჭარბებდა ამ შეთანხმებით შესაბამის დასაშვებ წონას. (Aliriza, 2008). 2014 წელს კი ყირიმის კრიზისის ფონზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თურქეთი დაადანაშაულა მონტროს კონვენციის დარღვევაში, რადგან მან ნება დართო ამერიკულ საზღვაო გემებს კონვენციით განსაზღვრულ ვადაზე 11 დღით მეტ ხანს დარჩენილიყვნენ შავ ზღვაში. თუმცა, ოფიციალური თურქეთი უარყოფს ამ ფაქტს და საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს მონტროს კონვენციის ნებისმიერ განხილვას საჯარო სივრცეში. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავითოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთს არასოდეს აურიდება მონტროს კონვენციით დაკისრებული პასუხისმგებლობა და არასოდეს დაურღვევია მისი პირობები (Today's Zaman, 2014).

მონტროს კონვენცია რუსეთისა და თურქეთისათვის ხელსაყრელი უსაფრთხოების სისტემის საფუძველია შავი ზღვის რეგიონში, რადგან უზრუნველყოფს მათ პრიორიტეტულ მგომარეობას და ზღუდავს სხვა აქტორების ჩართულობას რეგიონში.

## თურქეთი

თურქეთის საგარეო პოლიტიკაში შავი ზღვის რეგიონი განსაკუთრებულ როლს თამაშობს, რაც განპირობებულია როგორც ისტორიით, ასევე 21-ე საუკუნის რეალობით. უდაოა, რომ თურქეთისათვის შავი ზღვის სივრცეს დიდი სატრანსპორტო, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, თუმცა, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თურქეთის დამოკიდებულება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით განისაზღვრება 2 იმპერატივით: 1. მონტროს კონვენციით და 2. რეგიონული ძალის სტატუსით.

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლი თურქეთისათვის ეროვნული სიამაყის ერთ-ერთი წყარო და მთავარი მონაპოვარი იყო საუკუნეების მანძილზე, სწორედ ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ შავი ზღვის რეგიონის საზღვაო უსაფრთხოება მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ამასთანავე, ცივი ომის დასრულების შემდეგ და განსაკუთრებით 21-ე საუკუნის დასაწყისიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა, ზოგადად, რეგიონულმა დონემ, რაც შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოებისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად იქცა.

შეიძლება ითქვას, რომ თურქეთისათვის შავი ზღვის რეგიონი არის მისი გავლენის, სიძლიერისა და საერთაშორისო პრესტიჟს ერთ-ერთი მთავარი წყარო, რაც ისტორიული და გეოგრაფიული რეალობით არის განპირობებული. შესაბამისად, დღეს თურქეთისათვის საკუთარი იდენტობისა და რეგიონული ძალის სტატუსის უზრუნველყოფისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს სწორედ შავი ზღვის რეგიონზე, განსაკუთრებით კი უშუალოდ ზღვაზე გავლენის შენარჩუნება. იქიდან

გამომდინარე, რომ თურქეთისათვის უმთავრესი ამოცანა არის აღნიშნული გავლენის შენარჩუნება, რაც მიიღწევა შავ ზღვაში მონტროს კონვენციით განსაზღვრული სტატუს-კვოსა და ამავე დოკუმენტის საფუძველზე დამყარებული ძალთა ბალანსის დაცვით და ამასთანავე გარე ძალების ჩარევის შეზღუდვას გულისხმობს. სწორედ აქედან გამომდინარე, ხშირად რჩება შთაბეჭდილება, რომ მას არ აქვს ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული ხედვა შავი ზღვის რეგიონის მიმართ. (Petriashvili, 2015) რა თქმა უნდა, დასახელებული მოსაზრება მეტწილად სიმართლეს შეესაბამება, თუმცა, ეს გამონწვეულია არა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხის ნაკლებად პრიორიტეტულობით, არამედ თურქეთისათვის მისი განსაკუთრებულად ეგზისტენციალური მნიშვნელობით, რაც ლოგიკურია რომ იწვევს თურქეთის რეფლექსურ, ხშირად არათანმიმდევრულ რეაქციებს.

გასათვალისწინებელია, რომ სწორედ რეგიონული ძალის იდენტობა და მონტროს კონვენცია აყალიბებს თურქეთის დისკურსს შავი ზღვის მიმართ. ხოლო, ამ ორი ფაქტორის მხედველობაში მიღების შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თურქეთის დიკურსი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ცდება ამ კონცეფციას და უფრო ფართო ცნებებს მოიცავს.

აქვე, ხაზგასასმელია, რომ შავი ზღვის რეგიონული დონის აქტუალიზაცია თურქეთის საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგში არ დაწყებულია რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიით. ის სათავეს იღებს ცივი ომის დასრულებიდან, როდესაც სსრკ-ს დაშლამ თუქრეთს ახალი სამოქმედო სივრცე შეუქმნა.

შავი ზღვის რეგიონმა ცივი ომის დასრულების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თურქეთისათვის. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მან მოქმედება დაიწყო როგორც დამოუკიდებელი ინტერესების მქონე მოთამაშემ. ახალი პოლიტიკური რეალობა ახალი შესაძლებლობა აღმოჩნდა სწრაფი ეკონომიკური განვითარების გზაზე მყოფი თურქეთისათვის და 1990-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო აქტიური რეგიონული პოლიტიკის გატარება შავი ზღვის აუზის მიმართ. ჩრდილოეთ-სამხრეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნების, ცისფერი ნაკადის მილსადენის და მომავალი ენერჯო მარშრუტების გათვალისწინებით შავი ზღვის როლი გაიზარდა თურქეთისათვის ენერგეტიკული თვალსაზრისით. გარდა ამისა, შავი ზღვა თურქეთის ეკონომიკური განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, მაინც საყურადღებოა, ამ რეგიონის როლი თურქეთის უსაფრთხოებისთვის (Bozkurt 2011; 3). 1990-იანი წლებიდან ის აქტიურად მონაწილეობს შავი ზღვის რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში. თურქეთს გაუჩნდა სურვილი, რომ ქცეულიყო რეგიონის წამყვან ძალად, რადგან მიაჩნდა, რომ, ფლობდა შესაბამის რესურსებს სხვა რეგიონულ ძალებთან შედარებით. ამ მიზნით მან დაიწყო საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტების შექმნა და გააქტიურება. მათ შორის, აღსანიშნავია, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკის) შექმნის ინიციატივა, რომელიც სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ერთ-ერთ მთავრ მამოძრავებელ ძალად უნდა ქცეულიყო შავი ზღვის რეგიონში. 1990-იან წლებში თურქეთის განსაკუთრებულ როლს არა მხოლოდ რეგიონული სახელმწიფოები, არამედ აშშ-ც აღიარებდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ბისეკის პროექტი წარმატებით ვერ განხორციელდა და მისი როლი უფრო მეტად სიმბოლური მნიშვნელობით შემოიფარგლება, რასაც უამრავი მიზეზი აქვს, მაგრამ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ წარუმატებლობა განპირობებულია მის წვერებს შორის ინტერესთა შეუთავსებლობით. ამასთანავე, ბისეკის ფორმატში არ იქნა გამოყენებული პოტენციური შესაძლებლობები სწრედ შესაფერისი ლიდერის არ არსებობის გამო. თურქეთის პოლიტიკა შავ ზღვაში არსებული სტატუს-ქვოს შენარჩუნების მცდელობაა და არ აქვს სურვილი გახდეს ინიციატორი და იქცეს რეგიონის გეოპოლიტიკური არქიტექტურის გარდამქმნელ ძალად.

თურქეთისათვის შავი ზღვის აუზის მნიშვნელობის დასტურია მისი სამხედრო ინიციატივებიც რეგიონში. მათ შორის ერთ-ერთი პირველია არაპერმანენტული სამხედრო ძალა BLACKSEAFOR, რომელიც 2001 წელს დაარსდა 6 სანაპირო ქვეყნის მიერ და მიზნად ისახავდა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას სანაპირო და საძიებო ოპერაციებში, ჰუმანიტარული დახმარების სფეროში, ზღვის ფსკერის (მაღაროების) დასუფთავებაში, გარემოს დაცვაში და ა.შ.

კიდევ ერთ ინიციატივას წარმოადგენდა საზღვაო ოპერაცია Black Sea Harmony, რომელიც დაარსდა 2004 წელს. მისი მიზანია ტერორიზმისა და ტრეფიკინგის რისკის, ისევე როგორც არალეგალური იარაღით ვაჭრობის შემცირება შავი ზღვის რეგიონში.

Black Sea Harmony-ს და BLACKSEAFOR-ის მისიებისათვის გამოწვევას წარმოადგენდა ეფექტური და სწრაფი კოორდინაცია, და ინფორმაციის

გაზიარებისა და დაზვერვის საკითხებში მჭიდრო სამუშაო კავშირების არარსებობა საზღვაო ქვეყნებს შორის. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანის წარმატებას აფერხებს სანაპირო ქვეყნებს შორის არასკმარისად განვითარებული ურთიერთობები და მათ მიერ მისიის აღქმა, როგორც შავი ზღვის უდიდესი სახელმწიფოების- თურქეთისა და რუსეთის - მცდელობა, განავრცონ და გაამყარონ მათი საერთო გავლენა და ძალა რეგიონში. რუსეთისა და თურქეთის ერთობლივმა საზღვაო ოპერაციებმა BLACKSEAFOR-ის სახელით, ამ სახელმწიფოებს საშუალება მისცა არა მხოლოდ საკუთარი გავლენის სფეროების ინსტიტუციონალიზება მოეხდინათ, არამედ წარმოქმნა ეჭვები, რომ ორივე მათგანი მოქმედებს უფრო პატარა სანაპირო სახელმწიფოების ინტერესების ხარჯზე.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის პოლიტიკა შავი ზღვის აუზში გულისხმობს გარე ძალების რეგიონში ჩარევის აღკვეთას თურქულ დისკურსში შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობის ხაზგასასმელად და ამ ჭრილში თავად თურქეთის როლის წარმოსაჩენად ხშირად ხდება ამ რეგიონის დაკავშირება უფრო ფართო გეოგრაფიული სივრცის უსაფრთხოებასთან. მაგალითად, 2013 წელს დავითოლლუს განცხადებით, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება და სტაბილურობა დაკავშირებულია როგორც ევრო-ატლანტიკურ რეგიონთან, ასევე ევრაზიის უსაფრთხოებასთან. (Republic of Turkey, Ministry of Foreign Affairs, 2013)



## შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება თურქეთის დისკურსში ყირიმის ანექსიის შემდეგ

რუსეთის მიერ განხორციელებულმა ყირიმის ანექსიამ თავდაპირველად დიდი შეშფოთება გამოიწვია თურქეთის მხრიდან. 2016 წელს თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა იენს სტოლტენბერგთან შეხვედრისას განაცხადა, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ შავი ზღვა “რუსეთის ტბად“ იქცა. პირველ ეტაპზე რუსეთის ქმედებები იმდენად შემაშფოთებელი იყო თურქეთისათვის, რომ მისთვის ძალიან არატრადიციულ პოლიტიკას მიმართა და სხვა აქტორების ჩართულობას უჭერდა მხარს ტრადიციული ბალანსის აღსადგენად. აღნიშნულ შეხვედრაზე ერდოღანმა ასევე აღნიშნა, რომ თუ ალაინის წევრები არ მიიღებენ ერთობლივ ზომებს შავი ზღვის რეგიონში პრობლემების აღმოსაფხვრელად, მათ „ისტორია არ აპატიებს უმოქმედობას“. („Who needs joint NATO fleet in the Black Sea?“, 2016)

როგორც აღინიშნა, რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ თურქეთს იმდენად სურდა რეგიონში ძალთა ბალანსის აღდგენა და თავისი პოზიციების შენარჩუნება, რომ „უცხო“ ძალების, მათ შორის, ნატოსა და აშშ-ს რეგიონში ჩართულობის გაძლიერებასაც კი უჭერდა მხარს. ამ პოზიციამ გამოიწვია თურქეთის მხრიდან შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხების აქტუალიზება საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში და მათ შორის არასანაპირო სახელმწიფოებთან ურთიერთობებში. 2015 წლის აპრილში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩავეუშოღლუსა და

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის შეხვედრისას თურქმა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-სა და თურქეთის ურთიერთობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთსა და შავი ზღვის რეგიონში არსებული გამოწვევების ფონზე. (U.S. Department of State, 2015)

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის რეგონულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თურქეთის დისკურსის შინაარსის ცვლილებაზე დიდ გავლენას ახდენს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების განვითარების დინამიკა. 2015 წელს უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის, რაც სწორედ შავი ზღვის სივრცეში გამოიხატა. 2015 წლის დეკემბერში თურქეთმა რუსეთის საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოაგდო („Turkey's downing of Russian warplane - what we know,“ 2015) საპასუხოდ რუსეთმა სანქციები დაუწესა თურქეთს პროდუქტების ექსპორტსა და ვიზებზე (Girit, 2016). თუმცა 2016 წლიდან ქვეყნებმა შეძლეს საერთო ენა გამოენახათ მნიშვნელოვან საკითხებზე (მათ შორის, ახლო აღმოსავლეთში) და ამ პერიოდისა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების „დათბობის“ ტენდენციები შეინიშნება.

შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის გაზაფხულიდან რუსეთი და თურქეთი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სფეროებში, მაგალითად, სირიის კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებში. ამასთანავე, რუსეთისა და თურქეთის თანამშრომლობა დინამიურად ვითარდება უსაფრთხოების, ენერგეტიკულ და ეკონომიკურ სფეროებში. 2017 წელს გამართულ პუტინისა და ერდოღანის

შეხვედრაზე ანკარაში პრეზიდენტებმა ხაზი გაუსვეს ურთიერთობების გაღრმავების ტენდენციას. ამასთანავე ერდოღანმა აღნიშნა, რომ „ჰარმონია პოლიტიკურ სფეროში ადამიანურ, სავაჭრო, ტურისტულ და ენერგო ურთიერთობებზეც აისახება“.

მნიშვნელოვანია, რომ ორ ქვეყანას შორის ღრმავდება თანამშრომლობა სამხედრო-ტექნიკური მიმართულებით. 2017 წლიდან დაიწყო მოლაპარაკებები თურქეთის მიერ რუსეთისაგან „ეს-400“ ანტისარაკეტო სისტემის შესყიდვის თაობაზე. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი თურქეთის მიერ რუსეთისაგან ანტისარაკეტო სისტემის შესყიდვა რუსეთისათვის დაწესებული სანქციების ფონზე მიუღებელია აშშ-სა და ნატო-ს წევრი სხვა სახელმწიფოებისათვის, მით უმეტეს, რომ „ეს-400“ არათავსებადია ნატო-ს თავდაცვის სისტემებთან. თურქეთის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში თავდაცვის სფეროში რუსეთთან თანამშრომლობის გაძლიერება იგეგმება, რაც უარყოფითად აისახება თურქეთისა და აშშ-ს ურთიერთობებზე. რუსეთისა და თურქეთის ორმხრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკას და ენერგეტიკულ პროექტებს. ურთიერთობების ინტენსიფიკაციის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2017 წლის განმავლობაში ლიდერები 8-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ პუტინი და ერდოღანი რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ (მათ შორის სირიისა და იერუსალიმის საკითხის შესახებ) ერთობლივ, ურთიერთთანხვედრაში მყოფ პოზიციას აფიქსირებენ. ორ ლიდერს შორის სრული თანხმობა მნიშვნელოვანი მოვლენების მიმართ ბოლო

პერიოდში მყარ და თანმიმდევრულად განვითარებად ტენდენციად იქცა.

რუსეთ-თურქეთის „დაახლოება“ ქმნის შავი ზღვის რეგიონში სხვა აქტორების როლის შეზღუდვის, მათი პოზიციების შესუსტების საფრთხეს და მიანიშნებს შავი ზღვის უსაფრთხოების საკუთხების ექსკლუზიურად რეგიონულ დონეზე (რუსეთისა და თურქეთის მიერ) გადაწყვეტის პერსპექტივებზე. აღნიშნული ტენდენცია მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ნატოსათვის რეგიონში რუსეთის შეკავების პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის და შავ ზღვაში წარმოქმნილი პრობლემების კოლექტიური უსაფრთხოების ჭრილში განხილვისათვის.

ერთი შეხედვით შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების განხილვამ ფართო საერთაშორისო ფორმატებში თურქეთისთვის აქტუალობა დაკარგა. თურქეთმა საერთო ენა გამოძებნა რუსეთთან და ორი ქვეყნის თანამშრომლობა შესამჩნევად ღრმავდება, ასევე ის კვლავ მონტროს კონვენციით განსაზღვრული რეგიონული წესრიგის აპოლოგეტია. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს აღნიშნული საკითხის მნიშვნელობის შემცირებას თურქეთის პერსპექტივიდან.

2017 წლის აპრილის ერდოღანის განცხადება ცხადყოფს შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობას თურქეთისათვის. პრეზიდენტის თქმით, შავ ზღვასა და ხმელთაშუაზღვაში პოზიციების შესუსტებამ შესაძლოა გამოიწვიოს თურქეთის ტერიტორიების დაკარგვა. („Erdogan: Backdown in Black Sea is unacceptable,“ 2017)

ხოლო, ბისეკის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ერდოლანმა აღნიშნა, რომ შავი ზღვის რეგიონის მშვიდობაზე, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა ორგანიზაციის ყველა წევრის საერთო მიზანი უნდა იყოს. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ შავი ზღვა მნიშვნელოვანია სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისა და აბრეშუმის გზის პროექტისათვის. (Presidency of the Republic of Turkey, 2017)

თურქეთი რეგიონული ძალაა, რაც გულისხმობს, რომ მისი პოლიტიკა გავლენას ახდენს რეგიონის არქიტექტურის ჩამოყალიბებაზე და აქვს პრეტენზია, რომ რეგიონში ნორმებისა და წესების შემოქმედი იყოს, ასევე აქტიურად ჩაერთოს სამშვიდობო თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროექტებში (Nolte, 2010), რისი არაერთი ინიციატივაც არსებობს თურქეთის მხრიდან 1990-იანი წლებიდან მოყოლებული. თუმცა აღსანიშნავია, რომ თურქეთი რეგიონული ძალაა, მაგრამ არა გლობალური ძალა, რუსეთისაგან გასხვავებით. საკუთარი რეგიონული სტატუსის შესანარჩუნებლად თურქეთი ცდილობს დააბალანსოს რუსეთი შავი ზღვის რეგიონში, სწორედ ამიტომ, თურქეთი საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკური კურსისა და ნატო-ში ინტეგრაციის ერთ-ერთი მხარდაჭერია (Kardas, 2015)

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მონტროს კონვენცია მას შესაძლებლობას აძლევს რუსეთი დააბალანსოს საკუთარი შესაძლებლობების ხარჯზე საზღვაო უსაფრთხოების სფეროში, თუმცა სხვა სფეროში მას ნატო-სა და სახვა აქტორების დახმარება სჭირდება. ამიტომ ხშირად რჩება შტაბიჭდილება, რომ თურქეთისათვის საზღვაო და რეგიონული უსაფრთხოება სხვადასხვა სფეროა და მას არ აქვს

ჩამოყალიბებული პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის მიმართ. (Petriashvili, 2015) სინამდვილეში, თურქეთს აქვს საკუთარი, კარგად განსაზღვრული ინტერესები და სტრატეგია შავი ზღვის მიმართ და მისი ზოგჯერ ართანხვედრადი პოლიტიკები სწორედ ამ ინტერესების კომპლექსურობის დასტურია.

### **რუსეთი**

შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისათვის საუკუნეების მანძილზე უცვლელია. შავი ზღვა არის ერთადერთი თბილი ზღვა რუსეთისათვის და ამ გეოგრაფიულ სივრცეში პოზიციების გამყარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში. 2003 წლის სექტემბერში ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ „აზოვისა და შავი ზღვის რეგიონები არის რუსეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში“. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა, რომ შავი ზღვა უზრუნველყოფს რუსეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვან სატრანზიტო მარშრუტებს და შესაბამისად, რეგიონისათვის ეფექტური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება რუსეთისათვის მნიშვნელოვანია. ასევე რუსეთი შავი ზღვის რეგიონს მიიჩნევს საკუთარი გავლენის სფეროს განუყოფელ ნაწილად, რაც 2000-იანი წლების დასაწყისში დსთ-ს კონცეფციაშიც ჰქონდა ფორმულირებული. რუსეთის პერსპექტივის თანახმად, მას შავი ზღვის ქვეყნებთან აკავშირებს საერთო ისტორიული წარსული და კულტურული მემკვიდრეობა, ხოლო რუსული პოლიტიკური დისკურსის თანახმად, პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებსა და რუსეთს აქვთ ისტორიულად განპირობებული „ერთიერთპრივილეგირებული“ ერთიერთობები. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი სერგეი

ლაფროვის განცხადება, რომლის თანახმადაც რუსეთი „შენუხებულია“ ევროკავშირის აღმოსავლეთით, ისევე როგორც ევროკავშირის სამეზობლო და აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკით, რაც წარმოადგენს რევიზიონისტულ პოლიტიკას იმ მიზნით, რომ რუსეთის გავლენის სფეროდან გაიყვანოს პოსტ-საბჭოთა სივრცე.

რუსეთის ინტერვენცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ასევე აღმოსავლეთ უკრაინაში გნორციელებული აგრესია და ყირიმის ანექსია ამტკიცებს რუსეთის მთავარ სტრატეგიას შავი ზღვის მიმართ: „შავი ზღვის საფეხურეობრივი ხელახალი იმპერიალიზაცია (Triantaphyllou, 2016, p.7).

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებით „მონტროს კონვენცია“ , თურქეთის მსგავსად, რუსეთისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან ეს შეთანხმება რეგიონში რუსეთის გავლენისა და პრივილიგირებული მდგომარეობის გარანტია და სრულ თანხვედრაშია მის ინტერესებთან.

შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის რეგიონის მიმართ რუსეთის საგარეო პოლიტიკური დისკურსი ორ მთავარ სასიცოცხლო ამოცანას სახავს:

1. ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოების შეჩერება და შავი ზღვის რეგიონის საკუთარი გავლენის სფეროში შენარჩუნება;
2. საზღვაო ძალის განვითარება შავ ზღვაზე მემობელ რეგიონებში ძალის პროექციისათვის.

ორივე სტრატეგიული მიზანი, რუსეთის, როგორც ძლიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური იდენტობის განუყოფელი, ეგზისტენციალური ნაწილია. ამიტომ ბუნებრივია, რომ შავი ზღვის

რეგიონის უსაფრთხოებას პრიორიტეტული ადგილი უჭირავს რუსეთის პოლიტიკურ დღის წესრიგში.

ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთის მთავარ სტრატეგიულ ამოცანას ევრაზიული ძალის პოლუსის შექმნა წარმოადგენს. ამისათვის აუცილებელია, რომ შავი ზღვის სახელმწიფოები მისი გავლენის სფეროში იყვნენ.

შავი ზღვა არის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი რუსეთის რევიზიონიზმისა და მისი მცდელობისა, რომ შეაჩეროს ნატო-ს გაფართოება. შვი ზღვის მილიტარიზაცია რუსეთისათვის შესაძლებლობას წარმოადგენს წინ აღუდგეს დასავლეთის მიერ წარმოებულ „შეკავების პოლიტიკას“ რუსეთის მიმართ. (Musabay, 2010)

შავ ზღვაზე გავლენის მოპოვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიზანია რუსეთისათვის და ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში მისი ახალი, თუმცა ტრადიციული, საგარეო პოლიტიკური იდენტობის ერთ-ერთი საყრდენი წერტილია. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს სურს აღიდგინოს „საერთაშორისო ძალის“ სტატუსი და შეაჩეროს ნატო-ს გაფართოება შავი ზღვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. (Bugajski, 2016, p.3)

საყურადღებოა, რომ რუსეთი აქტიურად ეწინააღმდეგება ნატო-ს ნებისმიერ სამხედრო ინიციატივას შავ ზღვაში და ნებისმიერ მოქმედებას თავის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ აღიქვამს. რუსეთის ელჩმა ნატო-ში განაცხადა, რომ ნატო-ს მოქმედებები შავი ზღვის რეგიონში და სამხედრო წარმომადგენლობის ზრდა ახალი ცივი ომის რეალობაზე მიანიშნებს და რუსეთს აიძულებს მიიღოს ყველა საჭირო ზომა „ეროვნული ინტერესების“ დასაცავად რეგიონში.



(„Vicious circle’: Moscow warns NATO Black Sea buildup & increased spending may lead to new Cold War,“ 2017)

ტრადიციულად მიჩნეულია, რომ აღნიშნული რეაქცია გამომწვეულია რუსეთის მიერ შავი ზღვის რეგიონის საკუთარი გავლენის სფეროდ აღქმით და განსაკუთრებულად მწვავე რეაქცია აქვს საქართველოსა და უკრაინის ჩართვის შესახებ ნატოს მსგავს ინიციატივებში. თუმცა გარდა ტრადიციული შეფასებისა, თუ მთლიან სურათს შევხედავთ აღმოვაჩინოთ, რომ რუსეთის დისკურსის თანახმად შავი ზღვის რეგიონი ნამდვილ რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსს წარმოადგენს, სადაც ნებისმიერი მისი წევრის მოქმედება დაკავშირებულია სხვა წევრის უსაფრთხოებასთან. მეორე მხრივ, შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების სეკურიტიზაციის მთავარი მიზეზი სწორედ რუსეთი და შავი ზღვის რეგიონში მისი მილიტარისტული პოლიტიკაა. 2008 წელს სართველოს წინააღმდეგ მიმართულმა ანექსიამ, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მდებარე აფხაზეთის ფორმალურმა ოკუპირებამ (ცხინვალის რეგიონთან ერთად), ხოლო 2014 წელს უკრაინის წინააღმდეგ მიმართულმა აგრესიამ და ყირიმის ანექსიამ დიდწილად გამოიწვია რეგიონული პრობლემების სეკურიტიზაცია საერთაშორისო დღის წესრიგში. შესაბამისად, რუსეთი, ნებისსით თუ უნებლიედ შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედად გვევლინება.

**რეგიონული საზღვაო უსაფრთხოება - მილიტარიზაცია და ურთიერთდამოკიდებულება**

ნაშრომის ამ ნაწილის მიზანია გაანალიზოს შავ ზღვაში განვითარებული მილიტარიზაციის პროცესები საზღვაო უსაფრთხოების სფეროში რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის პერსპექტივიდან.

აღნიშნულ თავში აღწერილია რუსეთის მილიტარიზაცია, ნატო-ს საპასუხო ინიციატივები, ასევე თურქეთისა და სხვა სანაპირო სახელმწიფოების რეაგირება მიმდინარე მოვლენებზე. ამასთანავე, საუბარია რეგიონის სახელმწიფოების საზღვაო შესაძლებლობების განვითარების ტენდენციებზე, როგორც რეგიონის საზღვაო სივრცის მილიტარიზაციის მოვლენაზე.

შედეგად, კვლევის ამ ნაწილის მიზანია, აჩვენოს, რომ შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების მიერ საფრთხეების აღქმა პირდაპირ კავშირშია ერთმანეთის მოქმედებებთან, რაც რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის კონცეფციის შავი ზღვის რეგიონზე გავრცელების მიზანშეწონილობის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთიც იქნება და მისი გამოყენების ილუსტრირებაც.

საყურადღებოა, რომ ეს თავი ეყრდნობა ბარი ბუზანისა და ოლ ვეივერის განმარტებას უსაფრთხოების კომპლექსის შესახებ, რომლის თანახმადაც ის განისაზღვრება, მოქმედებს და ყალიბდება ანალიზის 4 დონეზე: სახელმწიფოებრივი (შიდა) დონე, სახელმწიფოთაშორისი (რეგიონული) დონე, რეგიონთაშორისი დონე, გლობალური დონე. შესაბამისად, ამ ნაწილში, შავი ზღვის რეგიონული აქტორების მოქმედებები შავი ზღვის საზღვაო უსაფრთხოების სფეროში აღნიშნული დონეების მიხედვით არის გაანალიზებული.

2014 წელს, ყირიმის ანექსიის შემდეგ, შავი ზღვაში საზღვაო სფეროში მიმდინარე მოვლენებს სხვადასხვა ანალიტიკოსები აღწერენ, როგორც უსაფრთხოების დილემას, თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ეს არ არის მხოლოდ ორ გლობალურ ძალას (ნატოსა და რუსეთს) შორის შეჯიბრი. მიმდინარე მოვლენების შესახებ უფრო დეტალური სურათი იქმნება იმ შემთხვევაში, თუ რეგიონულ დონეზე განვიხილავთ ამ დინამიკას, რადგან შეჯიბრში ჩართულია შავი ზღვის რეგიონის ყველა სახელმწიფო საკუთარი რეგიონული ინტერესებით და ისტორიულ-გეოგრაფიულად განსაზღვრული პოზიციით (მეგობრობა-მტრობის ჩამოყალიბებული ურთიერთობებით).

ყირიმის ანექსიის შემდეგ გაიზარდა რუსეთის სანაპიროს სიგრძე, მისი ფლოტის სიძლიერე და სამხედრო შესაძლებლობები წყალში. რუსეთის საზღვაო ფლოტი დღეს რეგიონში ყველაზე ძლიერია სახმელეთო კომპონენტის, გემების საბრძოლო შესაძლებლობებისა და მათი დაფარვის ზონის (600კმ.) თვალსაზრისით.

რუსეთის გაძლიერებაზე საპასუხოდ ნატო-ს მიერ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯს წარმოადგენდა ანტი-სარაკეტო თავდაცვითი სისტემის (Bmd-ის), რომელიც მიზნად ისახავს ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ერთ-ერთი კომპონენტის განთავსება საპორტო ქალაქ დევესეუში, რუმინეთში, 2016 წლის მაისში. ამასთანავე, ალიანსის მე-6 დანაყოფი შავ ზღვაში ამ სისტემის დაცვის ერთ-ერთი უზრუნველყოფელია. აღნიშნული მოვლენა რუსეთის მიერ აღქმული იქნა, როგორც ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი გამოწვევა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საუბარი დაიწყო რუსეთის საშუალო-მასშტაბიანი ბირთვული ძალების შეთანხმებიდან - (INF) (1987წ.) გამოსვლის შესახებ, რაც საფუძველს დაუდებდა შეიარაღების კონტროლის გაუქმებას და ახალი შეიარაღების შეჭიბრის დანერგვას. ასევე, ნატო-ს მოქმედებების საპასუხოდ რუსეთმა სევასტოპოლში განთავსა ისკანდერიის ტიპის სარაკეტო სისტემა, რომლის მასშტაბი თითქმის სრულად ფარავს ევროპის კონტინენტს. შეიძლება ქვას შავი ზღვა სარაკეტო სისტემების დაპირისპირების ნამდვილ ფრონტად იქცა. (“Spain to Host Elements of NATO Anti-Missile Shield,” 2011)

აღწერილი დინამიკა ერთ-ერთი მაგალითია შავი ზღვის რეგიონში განვითარებული მოვლენებიდან, რაც ძირითადად გლობალურ დონეზე ძალთა დაპირისპირების გავლენითაა ჩამოყალიბებული. ამ და სხვა დონეებით განსაზღვრული მილიტარიზაციის ტენდენციებზე საუბარი უფრო დანვრისგან იქვეით არის წარმოდგენილი.

### **გლობალური და რეგიონული დონე: ნატო და რუსეთი**

რუსეთი აგრძელებს შავი ზღვის მილიტარიზაციას, სადაც ანექსირებული ყირიმი ესკალაციის ცენტრის როლს თამაშობს. ჯერ კიდევ 2016 წელს რუსეთმა განაცხადა, რომ სულ მცირე 15 საბრძოლო გემი, მათ შორის, 4 თანამედროვე სარაკეტო კრუიზი (Kalibr NK-ს ტიპის) დაემატება ფლოტს. ასევე, აღსანიშნავია, რომ რუსეთი ფლობს ბირთვული შესაძლებლობების იარაღსა და ბირთვულ პლატფორმებს შავი ზღვის აუზში. (Schneider, 2016, p.2) რუსეთმა ყირიმის ანექსიით მოიპოვა სევასტოპოლის პორტი, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს

ასრულებს რუსეთის საზღვაო ძალაში და უკავია სტრატეგიული მნიშვნელობის. სწორედ სევასტოპოლში არის განთავსებული რუსეთის შავი ზღვის ფლოტის 80%. ის ასევე, წარმოადგენს რუსეთის კუთვნილებაში მყოფ ერთადერთ პორტს, რომელიც წლის მანძილზე არასოდეს იყინება. ამასთანავე, ყირიმის ნკ.-ზე რუსეთს აქვს ფეოდოსიის პორტი, რომელიც იტევს რუსეთის შავი ზღვის საზღვაო ძალების 20%-ს. შესაბამისად, ყირიმის ნკ.-ზე განთავსებულია რუსეთის საზღვაო ძალების 90%, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ანექსიის მნიშვნელობას რეგიონში არსებული ძალთა ბალანსის ცვლილებაში. (Schneider, 2017)

რუსეთის სახელმწიფო შეიარაღების შესყიდვების პროგრამის თანახმად, რომელის 2011-2020 წლების პერიოდს მოიცავს, რუსეთი განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის დახარჯვას აპირებს საზღვაო ძალის მოდერნიზაციისათვის. კერძოდ, ამ მიზნით, პროგრამის თანახმად გამოყოფილია 112,4 მლრდ. ევრო. 2014 წლის დეკემბერში რუსეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ 80 ახალი საბრძოლო გემი დაემატება შავი ზღვის ფლოტს 2020 წლისათვის (Cross, 2015). ასევე, იგეგმება სევასტოპოლისა და ნოვორასიისკის საზღვაო ბაზების შესაძლებლობების გაძლიერება და მოდერნიზება. (Delanoe, 2014) რუსეთის სამხედრო სტრატეგიის თანახმად რუსეთსა და თურქეთის საზღვაო ძალებს შორის განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირდება 2020 წლისათვის და რუსეთი ყველაზე ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ იქცევა შავ ზღვაში. (Celac S, 2017, 8)

ამასთანავე, რუსული საზღვაო ძალები გაიზარდა ე. სევასტოპოლში წყალქვეშა ფლოტის გაძლიერების შედეგად, რაც ნიშნავს, რომ მას დაემატა გაუმჯობესებული 6 ცალი კიფო-კლასის წყალქვეშა ნავი, რომელზეც შესაძლებელია განთავსდეს „კალიბრის“ ტიპის გრძელ-მასშტაბიანი სარაკეტო სისტემები. აღნიშნულ სისტემებს შავ ზღვაში რუსეთი წარმატებით იყენებდა სირიაში სამხედრო ოპერაციების წამართვისათვის. ასევე, რუსეთმა განავითარა გემთ საწინააღმდეგო და ჭურვსაწინააღმდეგო სისტემები. (Celac S, 2017, 17)

რუსეთის ეროვნული საზღვაო დოქტრინა, რომელიც 2014 წლის დეკემბერში შეიმუშავეს (ცვლილებები შევიდა 2015 წლი ივლისში) ადასტურებს, რომ რუსეთის გაძლიერება შავ ზღვაზე ნატო-ს გაფართოების ხელის შეშლისაკენ არის მიმართული. (Blank, 2015) ასევე, სტრატეგიის თანახმად რუსეთი ქმნის მანევრის

შეზღუდვის ძლიერ ზონას (A2/AD) შავ ზღვაში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მის შესაძლებლობებს რეგიონში (Coalson, 2016)

## ნატო

2014 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული ყირიმის ანექსიის შემდეგ, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი, ნატო იძულებული გახდა მიეღო საპასუხო ზომები რეგიონში ალიანსის წამრომადგენლობისა და პოზიციების შესანარჩუნებლად, რაც სიტყვა-სიტყვით არის ასახული ნატოს „ზაოების სამოქმედო გეგმაში“ ( 2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტზე მიღებულ დოკუმენტში).

რუსეთის აგრესიის შედეგად მყისიერად გაიზარდა ნატო-ს სამხედრო წარმომადგენლობა შავ ზღვაში. 2014 წლის აპრილში განხორციელებული ყირიმის ანექსიის შემდეგ ნატო-მ დაგეგმილზე 2-ჯერ მეტი რაოდენობის სამხედრო წვრთნები ჩაატარა შავი ზღვის აუზში, ხოლო 2015 წელს კიდევ უფრო გაიზარდა ნატო-ს მიერ ჩატარებული სამხედრო წვრთნების რაოდენობა შავი ზღვის აუზში და ამ რიცხვმა 270-ს მიაღწია (Frear, Kearns & Kulesa, 2015, p.3). ასევე, ნატო-ს წარმომადგენლობა შავ ზღვაში მნიშვნელოვნად გაიზარდა აშშ-ს გემების შემოსვლით რეგიონში. ნატო-ს საზღვაო ფლოტს დაემატა 2 ამერიკული საზღვაო გამანგურებელი, რომელიც ესპანეთის აკვატორიიდან იქნა გადმოყვანილი შავ ზღვაში. აღნიშნული გემების დანიშნულებას წარმოადგენს ბალესტიკური თავდაცვის (BMD) უზრუნველყოფა შვი ზღვის რეგიონში, ასევე ნატო-ს მისიებისა და წვრთნების მხარდაჭერა. (LaGrone, 2016)

ასევე, ბოლო პერიოდში შავი ზღვის რეგიონში მოიმატა ნატო-სა და რუსეთა შორის სახიფათო სამხედრო ინტერაქციის ხარისხმა, რაც სახიფათო ტენდენციებზე მიუთითებს და საკმაოდ ზრდის რეალური სამხედრო კონფლიქტის წარმოშობის რისკს. საზღვაო ძალები ერთმენტს „გადაეკვთნენ“ 66-ჯერ 2014 წლის მარტსა და 2015 წლის მარტს შორის პერიოდში. (Frear, 2015)

მართალია, ნატო-ს ყოველწლიური სამხედრო წვრთნა „ზღვის ბრიზი“ 1997 წლიდან მიმდინარეობს, თუმცა პირველად, 2014 წელს კრემლმა რუსეთის საზღვაო სამხედრო წვრთნებიც იმავე პერიოდს დაამთხვია, რამაც საკმაოდ დაძაბული ატმოსფერო შექმნა შავ ზღვაში. (Cross, 2015, p.165)

ამასთანავე, ნატო-ს ინიციატივა გულისხმობს შავი ზღვის მრავალეროვნული საზღვაო ძალის ჩამოყალიბებას როგორც ალიანსის წევრი სახელმწიფოების (თურქეთის, ბუგარეთისა და რუმინეთის), ასევე მისი

პარტნიორების (საქართველოსა და უკრაინის) მონაწილეობით, რაც საუკეთესო მაგალითია რუსეთის საფრთხეზე მთლიანი ერთსულოვანი რეგიონის რეაგირების.

### რეგიონთაშორისი დონე: თურქეთი

ნატოსა და რუსეთისაგან განსხვავებით, თურქეთის დამოკიდებულება შავი ზღვის რეგიონის საზღვაო უსაფრთხოების მიმართ ყველაზე მეტად განისაზღვრება რეგიონთაშორისი დონით. ეს არც არის გასაკვირი თუ გავითვალისწინებთ მის მიკუთვნებულობას რამდენიმე რეგიონთან და განსაკუთრებულ ინტერესებს სამეზობლოში.

